პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მეცამეთა დეპუტატთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

სამშაბათი, 21 ივნისი, 1949 წ. № 122 (8425). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

თივის აღება დავამთავროთ კულეულის აღების გაჩაღებამდე—მოწინავე (1-ლი გვერდი).
საბჭოთა კავშირში (1-ლი გვერდი).
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში—მარცვლეული, ზეთოვანი კულტურებისა და ნათესი ბალახების ჯიშობრივი დარაიონება (მე-2 გვერდი).
საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს [illegible] (მე-2 გვერდი).
კოლმეურნე ლ. შენგელიას თაოსნობა (მე-3 გვერდი).
ვამრავლოთ პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის მეგრძოლთა რიგები (მე-3 გვერდი).
გრიგოლ ჩიქოვანი — ხალხის ძალა (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

თივის აღება დავამთავროთ კულეულის აღების გაჩაღებამდე

დაიწყო თივის შერჩევით აღება. ლაგოდეხისა და სიღნაღის რაიონებში თივის ფრთხილი ყოველდღიურად ფართოვდება. ჩვენს ხელთ არსებული მასალები მოწმობენ, რომ წელს თივის კარგი მოსავალია. თივის უდანაკარგოდ აღება, საკვების დაგროვების გეგმის მოლიანად და გადაჭარბებით შესრულება მნიშვნელოვანი ნაბიჯია მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლის გზაზე.

ჩვენი ამოცანაა თივა ავიღოთ მოკლე ვადებში, უდანაკარგოდ, მარცვლეული კულტურების ზოსავლის აღების გაჩაღებამდე. თივის აღებასთან ერთად საჭიროა მოეწყოს მისი ჩაბარება სახელმწიფოსათვის.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში თივის ასაღები ინვენტარი — სათბი მანქანები, ფოცხები, ცელები ჯერ კიდევ მთლიანად არ არის შეკეთებული, რაც თიბვის გაჭიანურების საფრთხეს ქმნის. ჩვენი საკუთარი კორესპონდენტები იუწყებიან, რომ ზამთრის საძოვრებზე (ყიზლარი, შირაქი) რაიონთა დიდ უმრავლესობას ჯიგის აღების მოსამზადებელი სამუშაოებიც არ გაუჩაღებიათ. ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე 54.300 ტონა თივა უნდა დამზადდეს. მაგრამ დუშეთის, ყაზბეგის, თიანეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონებს საკმაო რაოდენობით არ გაუგზავნიათ მთიბავები და მცელავები. როგორც ჩანს, მეცხოველეობის რაიონების ხელმძღვანელი მუშაკები ამ სამუშაოს სირთულესა და სერიოზულობას არ ითვალისწინებენ.

ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც შირაქის საზამთრო საძოვრებზეა. ახმეტის, დუშეთის, თელავის, ყვარლისა და თიანეთის რაიონების ცხვარი ამ საძოვრებზე გამოიზამთრებს. ყვარლისა და ახმეტის რაიონების ცალკეულ ნაკვეთებზე ბალახი შემოსულია, მაგრამ მთიბავები არ ჩანან. აქედან ნათელია, რომ ამ რაიონების ხელმძღვანელებს სათანადო დასკვნები არ გამოუტანიათ 1947 წლის მწარე გაკვეთილიდან, როცა საკვების სიმცირის შედეგად პირუტყვი დიდი რაოდენობით დაიხოცა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „1949 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ჩატარების შესახებ“ მოცემულია თივის უდანაკარგოდ აღების ბოლშევიკური პროგრამა. დადგენილება მიგვითითებს: უზრუნველყოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის სრული მონაწილეობა თივის აღებისა და სილოსის ჩადების სამუშაოებში, რისთვისაც ისინი მაქსიმალურად უნდა გავათავისუფლოთ მეორეხარისხოვანი [illegible]-სამეურნეო სამუშაოთაგან. მაშასადამე, საჭიროა სწორად მოვაწყოთ შრომა თივის აღებაზე, განვამტკიცოთ დიდ ფრონტზე შეჯიბრების დროშა მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვების ბაზის შესაქმნელად.

თივის ასაღები მანქანების დროულად შეკეთება და მაქსიმალური დატვირთვით გამოყენება მთელი სამუშაოდღის განმავლობაში დიდმნიშვნელოვანი საქმეა. ჩვენმა მტს-ებმა თივა უნდა აიღონ 9.000 ჰექტარზე, ხოლო დასასილოსონ 50.000 ტონა საკვები ანუ რესპუბლიკური გეგმის 25 პროცენტი. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ცხენის ძალით მომუშავე სათიბებით მთელ სეზონში აღებულ იქნას არა უმცირეს 40-50 ჰექტარისა, ტრაქტორით მომუშავე სათიბებით — 500-600 ჰექტარი, ხოლო თვითეული ტრაქტორის წევის სილოსმჭრელით ჩაიღოს 800-1.000 ტონა სილოსი.

წელს პირველად მტს-ებთან მოეწყო მანქანით მთიბავთა 13 ბრიგადა. ამას სერიოზული მნიშვნელობა აქვს მექანიზაციის ფართოდ გამოსაყენებლად პირუტყვის საკვების დაგროვების დარგში. მაგრამ ჯერჯერობით ამ რაზმებს რატომღაც სათანადოდ მუშაობა არ გაუჩაღებიათ. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ენერგიული ზომები უნდა მიიღოს მთიბავთა რაზმების მუშაობის დროულად გაჩაღებისათვის.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს გარეული ბალახების საადრეო დასილოსებას. უნდა შეავლოთით ამას, რომ პურის მოსავლის აღების დაწყებისათვის სილოსი დამზადებულ იქნას დასილოსების წლიური გეგმის არანაკლებ 80 პროცენტისა. დასილოსებისათვის მზადყოფნა ნიშნავს დროულად შეეკეთოთ ძველი სასილოსე ნაგებობანი, ავაშენოთ ახალი სასილოსე ორმოები და თხრილები. ამ მხრივ არადამაკმაყოფილებელი დგომარეობაა წეიოელწყაროს, ახალქალაქის, ბოგდანოვკისა და სხვა რაიონებში, სადაც საკმაო ტემპით არ არის გაჩაღებული მზადება საადრეო კულტურების დასასილოსებლად.

საკვების რესურსების გადიდების მნიშვნელოვანი ღონისძიებაა საკვების მომპოვებელი ბრიგადების ან რგოლების მოწყობა. ბრიგადებსა და რგოლებს საჭირო რაოდენობით უნდა მიემაგროს მუშა პირუტყვი, მანქანები, სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობა, ტრანსპორტის საშუალებანი და ინვენტარი. სამწუხაროდ, ზოგან ამ სასარგებლო ღონისძიების სათანადოდ არ აფასებენ. ამის გამო მთელ რიგ რაიონებში (თელავის, ყაზბეგის, ჩხოროწყუსა და ონის რაიონებს გარდა) აჭიანურებენ ამ ბრიგადების მოწყობას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ნათქვამია, რომ პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა უნდა დაიწესონ თივის აღების სამუშაოთა ხარისხის მტკიცე კონტროლი, მოაწყონ თივის დროულად ჩარიცხვა შემოსავალში და მისი დაცვა დატაცებისა, წანახდისა და ხანძრებისაგან. ეს წესი მტკიცედ უნდა დავიცვათ.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მეორედ თიბვას. უნდა განისაზღვროს მეორედ თიბვისათვის ვარგისი ყველა ნაკვეთი, მოვაწყოთ მათი გულმოდგინე დაცვა და მორწყვა, ჩავატაროთ ბუნებრივი სათიბებისა და მრავალწლიანი ბალახების განმეორებითი გათიბვა.

საბჭოთა მთავრობამ დაიწესა მთელი რიგი წმახალისებელი ღონისძიებანი საკვების დამზადებაზე მომუშავეთათვის. მთავრობა რჩევას იძლევა, რომ თივაზე მომუშავე კოლმეურნეებს, ისევე როგორც წარსულ წლებში, გარდა ძირითადი ანაზღაურებისა შრომადღეებით, მიეცეთ აღებული და დაზვინული თივის მეათედი ნაწილი, ხოლო ცხენის სათიბ მანქანებზე მომუშავე საუკეთესო მთიბავებს — ორმოც ჰექტარს ზევით პურეულის მკის დაწყებამდე მოთიბული ყოველი ჰექტარისათვის 20 კილოგრამი თივა. საკვების დასილოსებაზე მომუშავეთ მიზანშეწონილია სასილოსე ორმოების, თხრილებისა და კოშკების დატენის დამთავრების შემდეგ დამატებით მიეცეთ 10 კილოგრამი თივა თვითეულ გამომუშავებულ შრომადღეზე. პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მოვალეობაა სწორად გამოიყენონ შრომის ნაყოფიერების გადიდების ეს მძლავრი სტიმული.

ახლა მეცხოველეობის სწრაფ აღმავლობას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. „ამჟამად, — ნათქვამია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის შესახებ,—როცა მიღწეულია სერიოზული წარმატებანი მარცვლეული მეურნეობის აღმავლობაში და შექმნილია საჭირო წინაპირობები მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის, მთელი ხაგრძე-სიგანით დადგა მეცხოველეობის ყოველმხრივ განვითარების ამოცანა, როგორც პარტიისა და ხალხმწიფოს ცენტრალური ამოცანა სოფლის მეურნეობის განვითარებაში“.

ამ საპატიო ამოცანის წარმატებით განხორციელებას დიდად შეუწყობს ხელს პირუტყვის საკვები ბაზის შემდგომი განმტკიცება.



სტალინის ოლქი. სტალინის სახელობის ნოვოკრამატორსკის ქარხნის № 1 მექანიკური საამქრო რუსთავის მეტალურგიული ქარხნისათვის ამზადებს საგლინავი დაზგის მომტკიცი ყაფაზის სარინ როლგანგს. ამ სამეშაოზე თავი გამოიჩინა ემელიან ენდოკოვის მემონტაჟეთა კომკავშრომელ-ახალგაზრდულმა ბრიგადამ. ბრიგადის მუშები ცვლაში ორ ნორმაზე მეტს ასრულებენ. სურათზე: სარინი როლგანგის აწყობა. წინა პლანზე—ბრიგადირი ე. ენდოკოვი.

ფოტო ი. ბაინდურენკოსი (საკ.ფსის ფოტოკრონიკა)

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲤᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოში რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ტ. მ. ზუბკოვა თავმჯდომარეობით შედგა მოსწავლეთა სრულიად რუსეთის სპარტაკიადის მომზადება საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა. სხდომას დაესწრნენ: საქალაქო, სოფლო, რესპუბლიკური (ასსრ) ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტების თავმჯდომარეები და საკავშირო ალკა სოფლო კომიტეტების სამხედრო-ფიზიკულტურულ განყოფილებათა გამგეები.

სხდომაზე განხილულ იქნა საორგანიზაციო კომიტეტის მუშაობის გეგმა, შეიქმნა სპეციალური კომისიები, აგრეთვე დამტკიცებულ იქნა სპარტაკიადის მონაწილის ნიშანი. საორგანიზაციო კომიტეტმა მოისმინა გორკის საქალაქო და თათრეთის რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტების თავმჯდომარეთა მოხსენიებები სრულიად რუსეთის სპარტაკიადისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ.

საორგანიზაციო კომიტეტმა მოიწონა ქალაქ გორკისა და თათრეთის ასსრ საორგანიზაციო კომიტეტების მიერ წარმოდგენილი ღონისძიებანი სპარტაკიადისათვის მოსამზადებლად და იმავე დროს ყურადღება მიაქცია, იმას, რომ საჭიროა გაძლიერდეს კონტროლი იმისადმი, თუ როგორ მიმდინარეობს შეჯიბრება სკოლებში და რაიონული, საქალაქო, სოფლო, სამხარეო და რესპუბლიკური (ასსრ) სპარტაკიადები.

საორგანიზაციო კომიტეტმა აღნიშნა, რომ სახალხო განათლების ზოგიერთი განყოფილება მტკიცედ ნელი აჩაღებს მუშაობას სრულიად რუსეთის სპარტაკიადისათვის მოსამზადებლად. რუსეთის სფსრ განათლების სამინისტროს მიეთითა მიიღოს ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ სახალხო განათლების აღგილობრივი ორგანოების უფრო აქტიურ მუშაობას.

სპარტაკიადის ჩატარების მსვლელობაში პრაქტიკული დახმარებისა და კონტროლის გასაწევად ადგილებზე, ოლქებში, მხარეებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში მივლინებულ იქნებიან რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლები. უახლოეს სხდომაზე საორგანიზაციო კომიტეტი მოისმენს რესპუბლიკური (ასსრ), სამხარეო, სოფლო და საქალაქო საორგანიზაციო კომიტეტების წარმომადგენელთა მოხსენებებს სპარტაკიადის მიმდინარეობის შესახებ.

ივანოვო. მოლოტოვის სახელობის დიდი ივანოვოს მანუფაქტურის ფაბრიკის კოლექტივმა გაზაფხულ-ზაფხულის სეზონისათვის ქსოვილების 600-მდე ახალი ნახატი შემოიშალა. ნაწილი ამ ქსოვილებისა უკვე წარმოებასშია. სურათზე: ცვლის ოსტატი ნ. კ. იარიგინა ათვალიერებს გაზაფხულ-ზაფხულის სეზონისათვის გამოშვებულ ახალ ქსოვილებს.

ფოტო ფ. კარიშევისა (საკ.ფსის ფოტოკრონიკა).

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲠᲒᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲤᲣᲫᲔᲛᲓᲔᲑᲔᲚᲘ

Ა. Მ. ᲒᲝᲠᲙᲘᲡᲐᲓᲐᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲨᲘ

ლენინგრადი, 18 ივნისი. (საკ.ფსი). დღეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტში შედგა ა. მ. გორკის დაბადებიდან 13 წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა.

ინსტიტუტის მეცნიერთა კოლექტივი მრავალი წლის განმავლობაში სწავლობს ვენიალური მწერლის, სოციალისტური ლიტერატურის ფუძემდებლის — ა. მ. გორკის ბიოგრაფიასა და შემოქმედებას. უკვე დაბეჭდა ინსტიტუტის მიერ გამოცემული „ლიტერატურული არქივის“ სამი ტომი; დასაბეჭდად მოამზადებულია მეოთხე ტომი, რომელიც შეიცავს გორკის ნაკლებად ცნობილ პუბლიცისტურ ნაწარმოებებს, მთელ რიგ გამოკვლევებს მის ავტობიოგრაფიულ მოთხრობათა, შესახებ, რეპოლუციური სოფლების თემის შესახებ მწერლის შემოქმედებაში და ა. შ. დასაბეჭდად მზადდება მეხუთე ტომი, რომელშიც შეტანილი იქნება მასალები განყოფილებისათვის „გორკი და საბჭოთა ლიტერატურა“.

გამოცემულია რამდენიმე მონოგრაფია დიდი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, მათ შორის მისი ნაწარმოებების — „დედა“, „არტამონოვების საქმე“, „თომა გორდეევი“ და სხვათა შესახებ. წარმოეს მეცნიერული კვლევა-ძიება, რომელიც მიეძღვნება გორკისა და XIX საუკუნის რუსული ლიტერატურის კლასიკოსთა დამოკიდებულებას. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ნ. კ. პიკასოვამ მოამზადა საინტერესო ნაშრომი „გორკი. მწერალთა მასწავლებელია“. ამ ნაშრომის ცალკე თავები მიძღვნილია სკიტალეც-პეტროვის, კუპრინის, გლადკოვის, ვ. ივანოვის, ფურმანოვის, მაკარენკოს, მაიაკოვსკის, ფედინის, ისაკოვსკისა და სხვებისადმი.

ა. მ. გორკის სსოფლის სხდომა გახსნა პროფესორმა ვ. ა. დესნიცკიმ.

— გორკი ჩვენი დიდი თანამედროვეა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, ფაშიზმისა და კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ჩვენი თანამედროვეა საბჭოთა სინამდვილის, თავისუფალი შემოქმედებითი შრომის შემქმნელში, — თქვა პროფესორმა დენიცკიმ.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ნ. კ. პიკასოვის მოხსენება მიეძღვნა თემას „მ. გორკის სამარყანდული ლეგენდები“. გორკის ესთეტიკური შეხედულებები დაახასიათა თავის მოხსენებაში ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ს. ვ. კასტორსკიმ.

ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚᲘ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲐ

17 ივნისს საბჭოთა პროფკავშირული დელეგაცია გაფრინდა ჩეხოსლოვაკიაში ტყავისა და ფეხსაცმლის მრეწველობის მუშათა დამფუძნებელ საერთაშორისო კონფერენციაზე დასასწრებად. დელეგაციაში შედიან ა. ო. ასლანოვი (დელეგაციის ხელმძღვანელი), ა. პ. ჩისტიაკოვი და ა. დ. ტოლოჩკო. (საკ.ფსი).

ამავ წლის 17 ივნისს მოსკოვიდან საფრანგეთში გაფრინდა საბჭოთა პროფკავშირული დელეგაცია ფეიერატა დამფუძნებელ საერთაშორისო კონფერენციაზე დასასწრებად. დელეგაციაში შედიან ბ. ტ. პიშკევიჩი (დელეგაციის ხელმძღვანელი) და ნ. ვ. ლებედინი. (საკ.ფსი).

ᲘᲛᲬᲘᲗᲘᲐᲗᲘ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ

ᲙᲘᲔᲕᲘ, 19 ივნისი. (საკ.ფსი). კიევის დიდი სამხმოვანი ოპერა ლიდთა რესპუბლიკურ ეროვნულ მუზეუმში, რომლის უფროსიც არის ამხ. მ. ი. ბრედნი, აშენათა ოპერაცია „ალაკეთს.

1943 წელს მელოტოპოლთან ბრძოლებში „ოროვოგრადის ოლქის სოფელ „ალენოგკის მეტოდურები ნალმმტყორცნელი მებრძოლი ეიტორ სვეწკო ტყვეთა დიპერა მარცხენა ბეჭში. დაჭრილა პირველი საექიმო დახმარება ალმოუჩინეს და შემდეგ ზურიის ჰოსპიტალში გაგზავნეს. რენტგენის გამოკვლევამ ცხადყო, რომ საგეზოოს მეტრიში ჰქონდა ლეთონის საგანი, რომელის ამოღებაც საფრთხეს უქმნიდა მებრძოლის სიცოცხლეს. ბრძოლობა მალე მთრნა, მებრძოლი ფრონტზე დაბრუნდა, ხოლო დეფიციტიზაციის შემდეგ დონბასში დაიწყო მუშაობა.

გავიდა ექვსი წელი. სავეწკოს აწუხებ ტკივილები ოგრძნო და ექიმებს მიმართა; ექიმებმა კიევის რესპუბლიკურ ჰოსპიტალში გაგზავნეს. აქ გულმოდგინე კლინიკური და რენტგენოლოგიური გამოკვლევის გზით დადგენილ იქნა, რომ მკერდის ბლეგრის არიში მდებარე ლეთონის საგანი არის მცირე ყალიბანი ავადზარმაბაზის ჯავშანგამტანი ყუმბარა, რომელიც თავის დროზე არ გაფსკდარა. ავადმყოფს ოპერაციაა ესაჭიროებოდა. ამ ოპერაციის განსაკუთრებული ხასიათის გამო მისი საკითხი დაიკავა კიევის ქირურგიულ საზოგადოების განსახილველად. კიევის კამჩენილმა ქირურგებმა დაადასტურეს ოპერაციის საჭიროება. ოპერაციის სირთულეს ის წარმოადგენდა, რომ ყუმბარა გულთან ახლოა იყო. გარდა ამისა, წამოიჭრა იმის საფრთხე, რომ ყუმბარა შეიძლებოდა აფეთქებულიყო ამოღების მომენტში.

ამას წინათ საარტილერო სამმის სპეციალისტებთან გულმოდგინე ვარჯიშის შემდეგ პროფესორმა ი. ი. გენკინმა ოპერაცია გაუკეთა ავადმყოფს. მან საეწკოს მკერდიდან ამოიღო 9 სანტიმეტრი სიგრძისა და ორი სანტიმეტრი ფიბიმეტრის ყუმბარა. იგი იწონის 203 გრამს.

ოპერაციის შემდეგ ავადმყოფის მდგომარეობა საფსეხთან დამაძაფიფოფლებელია, იგი გამოჯანმრთელის გზაზეა.

რეფერენტ ეკონომიკურ სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ამხ. ლ. ი. მეფეფეფა საკ.ფსის კორესპონდენტს აცნობა, პროფესორი ი. ი. გენკინის გაკეთებული ოპერაცია ეშვიათი შემთხვევაა მედიცინაში. მას მალალი შეფასება მისცეს აკადემიკოსმა ა. ა. ერმანმა და რესპუბლიკის სხვა გამოჩენილმა ქირურგებმა. ავადმყოფს მეფეფ მეფეფეფურეფენ გამოცდილი ექიმები, ეკონომიკის სამეცნიერო-საკვლევ სამეფფეფეფ ინსტიტუტის მუშაკები.



ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘ



Ა. Შ. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ

ქედის რაიონის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,8 ჰექტარ ფართობზე „ტრაპეზონის“ ჯიშის თამბაქოს ჰექტარზე 25 ცენტნერის აწგარეშთ, ხოლო 2,7 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 19,1 ცენტნერი „სამსუნის“ ჯიშის თამბაქოს მოყვანისათვის.

Მ. Ა. ᲮᲐᲚᲕᲐᲨᲘ

ქედის რაიონის ხაქვაეთის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 8 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 18,5 ცენტნერი „სამსუნის“ ჯიშის თამბაქოს მოყვანისათვის.

Მ. Ა. ᲨᲐᲥᲘᲐᲜᲘ

გაგრის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 17,4 ცენტნერი № 27 „სამსუნის“ ჯიშის თამბაქოს მოყვანისათვის.

Მ. Ო. ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ

ონჩამჩირის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 16,2 ცენტნერი № 27 „სამსუნის“ ჯიშის თამბაქოს მოყვანისათვის.

3. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲑᲠᲝᲨᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲓᲐ ᲧᲘᲠᲒᲘᲖᲔᲗᲘ ᲔᲜᲐᲖᲔ

ფრუნზე, 18 ივნისი. (საკ.ფსი). ყირგიზეთის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ყირგიზულ ენაზე თარგმნილი ვ. ი. ლენინის ბროშურები: „ევროპის მეერთიანებული შტატების ლოზუნგის შესახებ“, „რით დავიწყოთ?“, „ეროილბურეუაზიული და პროლეტარული სოციალიზმი“, „კოოპერაციის შესახებ“, „ძოსალოდნელი კატასტროფა და როგორ ვებრძოლოთ მას“. თვითეული ბროშურა 10 ათას ცალად გამოვიდა.

ᲛᲐᲦᲚᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘ ᲡᲐᲣᲤᲘᲪᲘᲠᲝ ᲛᲠᲔᲦᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ფეიერება, ობრძოვან რა მოწყობილობის ნაყოფიერების გასაადიდებლად და პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებენ მანქანების, ხელსაწყოების, დეტალებისა და დამხმარე მასალის — მაქოს, მასრის და სხვ. ხარისხს.

საფეიერო საწარმოთა მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად სსრ კავშირის მუშტეკი მრეწველობის სამინისტროს „გლავმაშდეტალის“ ქარხნებმა ცოტა სამუშაო როდი შეასრულეს.

კოროლოვის სახელობის ქარხანა უშვებს ლაფანის ბოჭკოს პირველადი დამუშავების ახალი მაღალნაყოფიერი მანქანების სერიას. ბამბეულის მრეწველობისათვის ათვისებულია წარმოება მთლიანი ლითონის მაგარი კარიანა, რომელსაც იყენებენ სარეჩ მანქანებზე.

წელს მიღწეულია უმნიშვნელოვანესი დამზმარე მასალების ხარისხის დიდი გაუმჯობესება, კერძოდ მაქოების, ქაღალდის ჰილზების, ხის მასრებისა და ა. შ. ამავამად გრძელდება შემდგომი მუშაობა ზალეულის, ობრეშუმის და მსუბუქი მრეწველობის სხვა დარგებისათვის ახალი კონსტრუქციების მაღალი ხარისხის მანქანების შესაქმნელად, დამზმარე მასალების დეტალების წარმოების ცალკეული სახეების კონვეიერიზაციისა და ავტომატიზაციისათვის და მათი ხარისხის გაუმჯობესებისათვის. (საკ.ფსი).

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ

Ა. Მ. ᲒᲝᲠᲙᲘᲡᲐᲓᲐᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲨᲘ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ, 18 ივნისი. (საკ.ფსი). დღეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტში შედგა ა. მ. გორკის დაბადებიდან 13 წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა.

ინსტიტუტის მეცნიერთა კოლექტივი მრავალი წლის განმავლობაში სწავლობს ვენიალური მწერლის, სოციალისტური ლიტერატურის ფუძემდებლის — ა. მ. გორკის ბიოგრაფიასა და შემოქმედებას. უკვე დაბეჭდა ინსტიტუტის მიერ გამოცემული „ლიტერატურული არქივის“ სამი ტომი; დასაბეჭდად მოამზადებულია მეოთხე ტომი, რომელიც შეიცავს გორკის ნაკლებად ცნობილ პუბლიცისტურ ნაწარმოებებს, მთელ რიგ გამოკვლევებს მის ავტობიოგრაფიულ მოთხრობათა, შესახებ, რეპოლუციური სოფლების თემის შესახებ მწერლის შემოქმედებაში და ა. შ. დასაბეჭდად მზადდება მეხუთე ტომი, რომელშიც შეტანილი იქნება მასალები განყოფილებისათვის „გორკი და საბჭოთა ლიტერატურა“.

გამოცემულია რამდენიმე მონოგრაფია დიდი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, მათ შორის მისი ნაწარმოებების — „დედა“, „არტამონოვების საქმე“, „თომა გორდეევი“ და სხვათა შესახებ. წარმოეს მეცნიერული კვლევა-ძიება, რომელიც მიეძღვნება გორკისა და XIX საუკუნის რუსული ლიტერატურის კლასიკოსთა დამოკიდებულებას. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ნ. კ. პიკასოვამ მოამზადა საინტერესო ნაშრომი „გორკი. მწერალთა მასწავლებელია“. ამ ნაშრომის ცალკე თავები მიძღვნილია სკიტალეც-პეტროვის, კუპრინის, გლადკოვის, ვ. ივანოვის, ფურმანოვის, მაკარენკოს, მაიაკოვსკის, ფედინის, ისაკოვსკისა და სხვებისადმი.

ა. მ. გორკის სსოფლის სხდომა გახსნა პროფესორმა ვ. ა. დესნიცკიმ.

— გორკი ჩვენი დიდი თანამედროვეა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, ფაშიზმისა და კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ჩვენი თანამედროვეა საბჭოთა სინამდვილის, თავისუფალი შემოქმედებითი შრომის შემქმნელში, — თქვა პროფესორმა დენიცკიმ.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ნ. კ. პიკასოვის მოხსენება მიეძღვნა თემას „მ. გორკის სამარყანდული ლეგენდები“. გორკის ესთეტიკური შეხედულებები დაახასიათა თავის მოხსენებაში ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ს. ვ. კასტორსკიმ.

ᲑᲔᲒᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲜᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ

თბილისის ქაღალდის ფაბრიკამ ვადამდე შეასრულა ნახევარი წლის საწარმოო გეგმა და გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით 30,8 პროცენტით გადიდა პროდუქციის გამოშვება. რესპუბლიკის თამბაქოს ფაბრიკებისათვის გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 17 ტონა სამენოქტაკე ქაღალდი.

წარმატების მოპოვებას დიდად შეუწყო ხელი ფაბრიკაში ფართოდ გაჩაღებულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ.

• • •

სამტრედია. (საკ. კორ.). საქართველოს ჩაის ტრესტის სამტრედიის მექანიკურმა ქარხანამ 1 ივნისისათვის 120,4 პროცენტით შეასრულა ნახევარი წლის გეგმა. ამავე პერიოდში საგრძნობლად შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება და 21 პროცენტით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. დაზოგილია საწვავი და ელექტროენერგია. ქარხნის კოლექტივმა საბრუნავ სახელმწიფოს გაუთავისუფლა 141 ათასი მანეთი.

ივნისის ბოლომდე ქარხანა ნახევარი წლის გეგმის გადამეტებით გამოუშვებს 400 ათასი მანეთის პროდუქციას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

მარცვლეული, ზეთოვანი კულტურებისა და ნათესი ბალახების ჯიშობრივი დარაიონება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მოიწონა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული მარცვლეული კულტურების ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო კომისიის მიერ 1949 წლისათვის შემუშავებული მარცვლეული, ზეთოვანი კულტურებისა და ნათესი ბალახების ჯიშობრივი დარაიონება შემდეგი სახით:

საქართველოს სსრ რაიონებისათვის

(გარდა აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა)

საშემოდგომო ხორბალი. ამბროლაურის, ონისა და ცაგერის რაიონების დაბლობი ნაწილისათვის: ხულუგო (ხოტორა), ადგილობრივი ჯიშები თეთრი დოლი, წითელი დოლი, იფქლი.

აბაშის, ვანის, გეგეჭკორის, ლანჩხუთის, სამტრედიისა და წულუკიძის რაიონებისათვის: ხოზო, ხულუგო (ხოტორა).

ქუთაისის, მაიაკოვსკისა და წყალტუბოს რაიონებისათვის: ხოზო, ხულუგო, (ხოტორა).

ზესტაფონის, ორჯონიკიძის, საჩხერის, ტყიბულის, ჭიათურისა და ჩხარის რაიონების მაღლობი ნაწილისათვის: ადგილობრივი ჯიშები თეთრი დოლი და წითელი დოლი.

ადიგენის, ასპინძისა და ახალციხის რაიონების დაბლობი ნაწილისათვის: ახალციხური წითელი დოლი.

ახალქალაქის მაღლობი ზეგანისათვის ასპინძისა და ახალქალაქის რაიონების ფარგლებში: ძალისურა 35-3, ახალციხური წითელი დოლი.

გორის, ქარელისა და ხაშურის რაიონების მთისპირა ურწყავი ნაწილისათვის: დოლის პური 35-4, ადგილობრივი ჯიშები თეთრი დოლი, წითელი დოლი, შავფხა.

გორის, ქარელისა და ხაშურის დაბლობი ურწყავი ნაწილისათვის: დოლის პური 35-4, ადგილობრივი ჯიშები თეთრი დოლი, წითელი დოლი.

გორის, ქარელის და მცხეთის რაიონების დაბლობი სარწყავი ნაწილისა და კასპის რაიონის მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირის დაბლობი სარწყავი ნაწილისათვის: დოლის პური 18-46, დოლის პური—35-4, თეთრი დოლი, წითელი დოლი, შავფხა.

ბოლნისისა და თეთრი წყაროს რაიონების მაღლობი ნაწილისათვის: ფერუგინეუმი 9704/2, ადგილობრივი ჯიშები წითელი დოლი, თეთრი დოლი.

ბოლნისის, გარდაბნისა და მარნეულის რაიონების სარწყავი ნაწილისათვის: ფერუგინეუმი 9704/2, ადგილობრივი ჯიშები თავთუხი, შავფხა.

ბოლნისისა და მარნეულის რაიონების დაბლობი ურწყავი ნაწილისათვის: თავთუხი, შავფხა, თეთრი დოლი, გომბორულა (უფხო) (უკანასკნელი ჯიში—ბოლნისის რაიონისათვის).

დუშეთისა და თიანეთის რაიონების მაღლობი ნაწილისათვის: თეთრი დოლი.

თეთრი წყაროს რაიონის დაბლობი ურწყავი ნაწილისათვის: ცეზიუმი 3/10, თავთუხი 19/28, გომბორულა (უფხო), თეთრი დოლი, თავთუხი, შავფხა.

საგარეჯოს და თბილისის რაიონების დაბლობი ურწყავი ნაწილისათვის: დოლის პური 18-46, დოლის პური 35-4, ადგილობრივი ჯიშები თეთრი დოლი და წითელი დოლი.

ახმეტისა და თელავის რაიონების მარჯვენა მხარის დაბლობი ნაწილისა და გურჯაანის რაიონის წინამხარის დაბლობი ურწყავი ნაწილისათვის: ცეზიუმი 3/10 (კომბაინით ასაღებად), ლაგოდეხური გრძელთავთავა, თავთუხი, შავფხა (უკანასკნელი ორი ჯიში გურჯაანის რაიონისათვის), თეთრი დოლი, გომბორული (უფხო) (ორივე ჯიში ახმეტისა და გურჯაანის რაიონებისათვის).

ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონების დაბლობი ნაწილისა და ახმეტისა და თელავის რაიონების მარცხენა მხარისათვის: რაჭულა (ველათურა), ლაგოდეხური გრძელთავთავა, თეთრი დოლი და წითელი დოლი (ყვარლის რაიონისათვის).

შირაქის ველისა და სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონების უკანამხარისათვის: კრასნოდარულა, ფერუგინეუმი 9704/2, დოლის პური 35-4, თეთრი დოლი, წითელი დოლი.

ალაზნის ველის სარწყავი ნაწილისათვის გურჯაანისა და სიღნაღის რაიონების ფარგლებში: ფერუგინეუმი 9704/2, თეთრი დოლი, წითელი დოლი.

რესპუბლიკის ყველა დანარჩენი რაიონის დაბლობი და მაღლობი ნაწილებისათვის დაშვებულ იქნას წარმოებაში არსებული ჯიშები.

საშემოდგომო ქერი. გორის, ქარელისა და ხაშურის რაიონების მთისპირა ურწყავი ნაწილისათვის: ადგილობრივი მრავალმწკრივა ძველთესლი, ნახჭევანდანი.

მარნეულისა და გარდაბნის რაიონების სარწყავი ნაწილისათვის—ნახჭევანდანი.

ახმეტისა და თელავის რაიონების დაბლობი მარჯვენა მხარის ნაწილისა, აგრეთვე შირაქის ველისა და წითელწყაროს და სიღნაღის რაიონების უკანამხარისათვის—ტრები და ადგილობრივი მრავალმწკრივა ძველთესლი.

ლაგოდეხის და ყვარლის რაიონების დაბლობი ნაწილისა და თელავის რაიონის მდინარე ალაზნის მარცხენა მხარისათვის—ტრები.

საშემოდგომო ქერის მთესველი ყველა დანარჩენი რაიონისათვის—ადგილობრივი მრავალმწკრივა ძველთესლი.

საგაზაფხულო ხორბალი. ახალქალაქის მაღლობი ზეგანისათვის ასპინძის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების ფარგლებში: დიკა 9/14, ჯავახური დიკა.

ახმეტის, ბოლნისის, გურჯაანის, საგარეჯოს, თბილისისა და თეთრი წყაროს რაიონებისათვის—გომბორულა (უფხო).

ბოლნისის, დმანისისა და თეთრი წყაროს რაიონების მაღლობი ნაწილისათვის—დიკა 9/14.

საგარეჯოს რაიონის დაბლობი ნაწილისათვის — ადგილობრივი თავთუხი.

წალკის რაიონის მაღლობი ნაწილისათვის: დიკა 9/14, ადგილობრივი დიკა.

დუშეთისა და თიანეთის რაიონების მაღლობი ნაწილისათვის: დიკა 9/14, თიანეთური დიკა.

გორის რაიონისათვის—ადგილობრივი შავფხა.

საგაზაფხულო ხორბლის მთესველი ყველა დანარჩენი რაიონისათვის—ადგილობრივი დიკა.

შვრია. ზესტაფონის, ორჯონიკიძის, საჩხერის, ჭიათურისა და ჩხარის რაიონების მაღლობი ნაწილისათვის: საბჭოთა, საუკეთესო ადგილობრივი ჯიშები.

ახალქალაქის მაღლობი ზეგანისათვის ასპინძის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების ფარგლებში: საბჭოთა, ხარკოვული 596.

გორის, ქარელისა და ხაშურის რაიონების მთისპირა ურწყავი ნაწილისათვის—ხარკოვული 596.

თეთრი წყაროს რაიონის დაბლობი ურწყავი ნაწილისა და ბოლნისის რაიონის მთისპირა ნაწილისათვის: საბჭოთა.

საგარეჯოს და თბილისის რაიონების დაბლობი ურწყავი ნაწილისათვის, ხარკოვული 596.

შირაქის ველისა და სიღნაღის და წითელწყაროს რაიონების უკანამხარისათვის: ხარკოვული 596.

საგაზაფხულო ქერი. ზესტაფონის, ორჯონიკიძის, საჩხერის, ტყიბულის, ჭიათურისა და ჩხარის რაიონების მაღლობი ნაწილისათვის: ნუტანსი 32-28, ადგილობრივი ახალთესლი.

ადიგენის, ასპინძისა და ახალციხის რაიონების დაბლობი ნაწილისათვის: ნუტანსი 32-28, ადგილობრივი ახალთესლი.

ახალქალაქის მაღლობი ზეგანისათვის ასპინძის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების ფარგლებში—ადგილობრივი ახალთესლი.

გორის, ქარელის რაიონების სარწყავი ნაწილისა და კასპის რაიონის მდინარე მტკვრის მარცხენა მხარის სარწყავი ნაწილისათვის: ნუტანსი 32-28, ადგილობრივი ახალთესლი.

ბოლნისისა და თეთრი წყაროს რაიონების მაღლობი ნაწილისათვის—ნუტანსი 32-28.

დუშეთისა და თიანეთის რაიონების მაღლობი ნაწილისათვის: ნუტანსი 32-28, ადგილობრივი ახალთესლი.

საგარეჯოს და თბილისის რაიონების დაბლობი ურწყავი ნაწილისათვის: ნუტანსი 32-28, ადგილობრივი ახალთესლი.

შირაქის ველისა და სიღნაღის და წითელწყაროს რაიონების უკანამხარისათვის: კოლხიკუმი 10/30, ადგილობრივი ახალთესლი.

ბოლნისის რაიონის მთისპირა ურწყავი ნაწილისა და თეთრი წყაროს რაიონის დაბლობი ურწყავი ნაწილისათვის—ნუტანსი 32-28.

საგაზაფხულო ქერის მთესველი დანარჩენი რაიონებისათვის—ადგილობრივი ახალთესლი.

ფეტვი. შირაქის ველისა და სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონების უკანამხარისათვის: პოდოლიანური 24/273, სარატოვული 853.

ახმეტისა და თელავის რაიონებისათვის, ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონების დაბლობი ურწყავი ნაწილისა და გურჯაანის რაიონის მარჯვენა მხარისათვის: სარატოვული 853, საუკეთესო ადგილობრივი ჯიშები.

დუშეთისა და თიანეთის რაიონების მაღლობი ნაწილისათვის: პოდოლიანური 24/273, საუკეთესო ადგილობრივი ჯიშები.

საგარეჯოს და თბილისის რაიონების დაბლობი ურწყავი ნაწილისათვის—ვესელოპოდოლიანური 367.

სიმინდი მარცვლად. ზუგდიდისა და ხობის რაიონების დაბლობი ნაწილისათვის: აჯამეთური თეთრი, აბაშური ყვითელი.

აბაშის, გეგეჭკორის, ლანჩხუთის, სამტრედიისა და ცხაკაიას რაიონების დაბლობი ნაწილისათვის: აბაშური ყვითელი, აბაშური თეთრი ნახევარკბილა, აჯამეთური თეთრი.

ვანის, ქუთაისის, მაიაკოვსკის, წულუკიძისა და წყალტუბოს რაიონების დაბლობი ნაწილისათვის: გეგუთური ყვითელი (აბაშური ყვითელის შესაცვლელად), ქუთათური თეთრი ნახევარკბილა, აბაშური ყვითელი, აჯამეთური თეთრი.

ამბროლაურის, ონისა და ცაგერის რაიონების დაბლობი ნაწილისათვის: ადგილობრივი ყვითელი და თეთრი ნახევარკბილა, ადგილობრივი თეთრი კაჟოვანა უფრო მაღლობი ადგილებისათვის, კრუგი, აჯამეთური თეთრი.

ამბროლაურის, ონისა და ცაგერის რაიონების მაღლობი ნაწილისათვის: ჩრდილოდაკოტური (როგორც საშემოდგომო ხორბლის წინამორბედი), ადგილობრივი თეთრი და ყვითელი კაჟოვანა.

ზესტაფონის, ორჯონიკიძის, საჩხერის, ჭიათურის, ტყიბულისა და ჩხარის რაიონების მაღლობი ნაწილისათვის: ადგილობრივი თეთრი კაჟოვანა, ადგილობრივი ყვითელი კაჟოვანა.

ადიგენის, ასპინძისა და ახალციხის რაიონების დაბლობი ურწყავი ნაწილისათვის: ადგილობრივი ყვითელი და თეთრი კაჟოვანა, მინესოტა 13 ექსტრა.

გორის, ქარელისა და ხაშურის რაიონების მთისპირა ურწყავი ნაწილისათვის, ადგილობრივი თეთრი კაჟოვანა, მინესოტა 13 ექსტრა (ადგილობრივი ყვითელი კაჟოვანას შესაცვლელად), ადგილობრივი ყვითელი კაჟოვანა.

გორის და ქარელის რაიონების სარწყავი ნაწილისა და კასპის რაიონის მარცხენა მხარის სარწყავი ნაწილისათვის: სტერლინგი (კრუგის ჯიშის შესაცვლელად), კაჟოვანა (ადგილობრივი ყვითელი), ადგილობრივი თეთრი კაჟოვანა—არ უნდა დაითესოს მეთესლეობის რაიონულ მეურნეობებში, მინესოტა 13 ექსტრა (როგორც საშემოდგომო კულტურების წინამორბედი), კრუგი (საგაზაფხულო კულტურებისათვის განკუთვნილ ფართობებში).

ბოლნისის, დმანისისა და თეთრი წყაროს რაიონების მაღლობი ნაწილისათვის: მინესოტა 13 ექსტრა, ადგილობრივი თეთრი კაჟოვანა.

თეთრი წყაროს რაიონის დაბლობი ურწყავი ნაწილისა და ბოლნისის რაიონის მთისპირა ურწყავი ნაწილისათვის: ჩრდილოდაკოტური, ადგილობრივი ყვითელი კაჟოვანა.

დუშეთისა და თიანეთის რაიონების მაღლობი ნაწილისათვის: ჩრდილოდაკოტური (ადგილობრივი თეთრი კაჟოვანას შესაცვლელად), მინესოტა 13 ექსტრა, ადგილობრივი თეთრი კაჟოვანა, ადგილობრივი ყვითელი კაჟოვანა (არ უნდა დაითესოს მეთესლეობის რაიონულ მეურნეობებში).

ბოლნისის, გარდაბნისა და მარნეულის რაიონების დაბლობი სარწყავი ნაწილისათვის კრუგი, იმერული ჰიბრიდი (არ უნდა დაითესოს მეთესლეობის რაიონულ მეურნეობებში).

საგარეჯოს და თბილისის რაიონების დაბლობი ურწყავი ნაწილისათვის: ჩრდილოდაკოტური, მინესოტა 13 ექსტრა, ადგილობრივი თეთრი და ყვითელი კაჟოვანა (ჩოქულა); უკანასკნელი ორი ჯიში ამ რაიონების უფრო მაღლობი ნაწილებისათვის.

ახმეტისა და თელავის რაიონების მარჯვენა მხარის დაბლობი ნაწილისა და გურჯაანის რაიონის წინამხარის დაბლობი ურწყავი ნაწილისათვის—კრუგი.

ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონების დაბლობი ნაწილისა და ახმეტისა და თელავის რაიონების მარცხენა მხარისათვის: აჯამეთური, თეთრი, კრუგი, ადგილობრივი თეთრი ნახევარკბილა.

შირაქის ველისა და სიღნაღის და წითელწყაროს რაიონების უკანამხარისათვის—მინესოტა 13 ექსტრა.

მუხუდო. ასპინძის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების მაღლობი ზეგანისათვის — კაპიტალი.

ლობიო. ამბროლაურის, ონისა და ცაგერის რაიონების დაბლობი და მაღლობი ნაწილისათვის: ჩიტიკვერცხა (ადგილობრივი გურულის ტიპისა), ადგილობრივი წითელი—სიმინდის ლობიო.

ზესტაფონის, ორჯონიკიძის, საჩხერის, ტყიბულის, ჭიათურისა და ჩხარის რაიონების მაღლობი ნაწილისათვის: ადგილობრივი წითელი—სიმინდის ლობიო.

ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონების დაბლობი ნაწილისათვის: ადგილობრივი წითელჭრელი (ადგილობრივი წითელი).

გორის, ქარელისა და კასპის რაიონების დაბლობი სარწყავი ნაწილისათვის: ხიდატცა, წითელი მინდვრის ლობიო (ადგილობრივი წითელი).

ადიგენის, ასპინძისა და ახალციხის რაიონების დაბლობი ნაწილისათვის: გრეიტ-ნორტსერნი, ჩიტიკვერცხა (ადგილობრივი გურულის ტიპისა).

ლობიოს მთესველი ყველა სხვა რაიონისათვის—ადგილობრივი საუკეთესო ჯიშები.

ხოია. დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირა ნაწილისათვის ზუგდიდის, ხობისა და ცხაკაიას რაიონების ფარგლებში—ადგილობრივი გურული.

დასავლეთ საქართველოს შუა—ცენტრალური დაბლობი ნაწილისათვის აბაშის, ვანის, გეგეჭკორის, ქუთაისის, ლანჩხუთის, სამტრედიის, წულუკიძის, ცხაკაიას და წყალტუბოს რაიონების ფარგლებში—ადგილობრივი იმერული.

ზესტაფონის, ორჯონიკიძის, საჩხერის, ტყიბულის, ჭიათურისა და ჩხარის რაიონების მაღლობი ნაწილისათვის: ადგილობრივი ჭიათურული.

მზესუმზირა მარცვლად. შირაქის ველისა და სიღნაღის და წითელწყაროს რაიონების უკანამხარისათვის: კრუგლიკი ა-41, კრუგლიკი 1846.

ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონების დაბლობი ნაწილისათვის, ახმეტის, გურჯაანისა და თელავის რაიონების მარჯვენა მხარის დაბლობი ნაწილისათვის ახმეტისა და თელავის რაიონების მარცხენა ნაპირისათვის — კრუგლიკი ა-41.

საგარეჯოს და თბილისის რაიონების დაბლობი ურწყავი ნაწილისათვის: ჟდანოვკა-4036, კრუგლიკი ა-41.

არახისი. ზუგდიდის, ხობისა და ცხაკაიას რაიონების დაბლობი ნაწილისათვის: პერზუვანი 46/2.

აბაშის, ვანის, გეგეჭკორის, ლანჩხუთის, სამტრედიისა და წულუკიძის რაიონების დაბლობი ნაწილისათვის: გაუმჯობესებული ესპანური.

ქუთაისის, მაიაკოვსკისა და წყალტუბოს რაიონების დაბლობი ნაწილისათვის: გაუმჯობესებული ესპანური.

იონჯა. აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობი სარწყავი რაიონებისათვის ზღვის დონიდან 500 მეტრამდე: ადგილობრივი უნგრული.

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დანარჩენი დაბლობი და მთისპირა რაიონებისათვის: სლავური, ადგილობრივი საუკეთესო ჯიშები (ფრანგული და სხვ.).

სამყურა. სამყურას მთესველ ყველა მთიანი და მთისპირა რაიონებისათვის: ორსათიბავი.

ესპარცეტი. შირაქის ველისა და სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონების უკანამხარისათვის: სისიანური მო-34, ადგილობრივი ახალქალაქური.

ესპარცეტის მთესველი დანარჩენი მთიანი და მთისპირა რაიონებისათვის: ადგილობრივი ახალქალაქური.

ცერცველა. მაღლობი და მაღალმთიანი რაიონებისათვის ზღვის დონიდან 1.000-დან 2.000 მეტრამდე—ადგილობრივი ახალქალაქური.

მოზარი. შირაქის ველისა და სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონების უკანამხარისათვის — ადგილობრივი ძურწა ფეტვი.

ხაკვის მუხუდო. ასპინძის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების მაღლობი ზეგანისათვის: ადგილობრივი ახალქალაქური.

ხასილოსე სიმინდი. აბაშის, ვანის, ზუგდიდის, გეგეჭკორის, ლანჩხუთის, სამტრედიის, ხობისა და ცხაკაიას რაიონების დაბლობი ნაწილისათვის: აბაშური თეთრი, აბაშური ყვითელი.

ქუთაისის, მაიაკოვსკის, წულუკიძისა და წყალტუბოს რაიონების დაბლობი ნაწილისათვის —გეგუთური ყვითელი.

ახმეტისა და თელავის რაიონების მარჯვენა ნაპირის დაბლობი ნაწილისა და გურჯაანის რაიონის წინამხარის დაბლობი ურწყავი ნაწილისათვის: იმერული ჰიბრიდი, ქართული კრუგი.

შირაქის ველისა და სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონების უკანამხარისათვის—მინესოტა 13 ექსტრა.

ხასილოსე მზესუმზირა. ახმეტის, გურჯაანისა და თელავის რაიონების მარჯვენა ნაპირის დაბლობი ნაწილისათვის, ალაზნის სარწყავი სისტემის ზონისათვის გურჯაანისა და სიღნაღის რაიონების ფარგლებში: გიგანტი 549, სამეგრელო მზესუმზირა სომხეთისა.

მრავალწლიანი ბალახების ხახეთა დარაიონება მინდვრის თესლბრუნვაში ნარევბალახეულების დასათესად

საქართველოს სსრ (გარდა აფხაზეთისა და აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა):

სამყურისა და ესპარცეტის მთესველი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი და მთისპირა რაიონებისათვის—მდელოს ტიმოთელა ანდა მდელოს წივანა, სათითურა;

იონჯის მთესველი აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობი რაიონებისათვის (სარწყავ და ურწყავ პირობებში)—მაღალი კონდარი ანდა საძოვრის კონდარი, მრავალსათიბი კონდარი;

ესპარცეტის მთესველი აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობი რაიონებისათვის (სარწყავ და ურწყავ პირობებში)—მაღალი კონდარი ანდა საძოვრის კონდარი, მრავალსათიბი კონდარი, უფესურო ჭანგა;

სამყურას მთესველი დასავლეთ საქართველოს დაბლობი, მთისპირა და მთიანი რაიონებისათვის—საძოვრის კონდარი ანდა მდელოს ტიმოთელა;

იონჯის მთესველი დასავლეთ საქართველოს დაბლობი და მთისპირა რაიონებისათვის—საძოვრის კონდარი ანდა მრავალსათიბი კონდარი.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ:

სამყურის მთესველ მთისპირა და მთიანი რაიონებისათვის—მდელოს ტიმოთელა;

სამყურის და იონჯის მთესველი დაბლობი რაიონებისათვის—საძოვრის კონდარი ანდა მრავალსათიბი კონდარი.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი:

სამყურისა და ესპარცეტის მთესველი რაიონებისათვის—მდელოს ტიმოთელა ანდა მდელოს წივანა, სათითურა;

იონჯის მთესველი რაიონებისათვის მაღალი კონდარი ანდა საძოვრის კონდარი, მრავალსათიბი კონდარი.

აფხაზეთის ასსრ რაიონებისათვის

საშემოდგომო ხორბალი. დაშვებულ იქნას წარმოებაში არსებული ჯიშები.

საშემოდგომო ქერი. საშემოდგომო ქერის მთესველი რაიონებისათვის — ადგილობრივი მრავალმწკრივა ძველთესლი.

შვრია. დაშვებულ იქნას წარმოებაში არსებული ჯიშები.

საგაზაფხულო ქერი. საგაზაფხულო ქერის მთესველი რაიონებისათვის — ადგილობრივი ახალთესლი.

სიმინდი მარცვლად. გალის რაიონის დაბლობი ნაწილისათვის: აჯამეთური თეთრი, აბაშური ყვითელი, ადგილობრივი თეთრი და ყვითელი ნახევარკბილა.

რესპუბლიკის დანარჩენი ნაწილისათვის დაშვებულ იქნას წარმოებაში არსებული ჯიშები.

ლობიო. ადგილობრივი საუკეთესო ჯიშები.

ხოია. გალის რაიონისათვის: ადგილობრივი გურული. დანარჩენი რაიონებისათვის დაშვებულ იქნას წარმოებაში არსებული ჯიშები.

არახისი. გალის რაიონისათვის: პერზუვანი 46/2, არახისის მთესველი დანარჩენი რაიონებისათვის — გაუმჯობესებული ესპანური.

იონჯა. სლავური, საუკეთესო ადგილობრივი ჯიშები (ფრანგული და სხვ.).

სამყურა. სამყურას მთესველი მთიანი და მთისპირა რაიონებისათვის ორსათიბავი.

ცერცველა. მაღლობი და მაღალმთიანი რაიონებისათვის, ზღვის დონიდან 1.000-დან 2.000 მეტრამდე—ადგილობრივი ახალქალაქური.

მრავალწლიანი ბალახების ხახეთა დარაიონება მინდვრის თესლბრუნვაში ნარევბალახეულების დასათესად

რესპუბლიკაში: საძოვრის კონდარი, ტიმოთელა (სამყურის მთესველი მთიანი და მთისპირა რაიონებისათვის).

აჭარის ასსრ რაიონებისათვის

საშემოდგომო ხორბალი. დაშვებულ იქნას წარმოებაში არსებული ჯიშები.

საშემოდგომო ქერი. საშემოდგომო ქერის მთესველი რაიონებისათვის — ადგილობრივი მრავალმწკრივა ძველთესლი.

საგაზაფხულო ხორბალი. საგაზაფხულო ხორბლის მთესველი რაიონებისათვის—ადგილობრივი დიკა.

საგაზაფხულო ქერი. საგაზაფხულო ქერის მთესველი რაიონებისათვის — ადგილობრივი ახალთესლი.

სიმინდი მარცვლად. დაშვებულ იქნას წარმოებაში არსებული ჯიშები.

ლობიო. ადგილობრივი საუკეთესო ჯიშები.

არახისი. გაუმჯობესებული ესპანური.

იონჯა. სლავური, ადგილობრივი საუკეთესო ჯიშები (ფრანგული და სხვ.).

სამყურა. სამყურას მთესველი მთიანი და მთისპირა რაიონებისათვის: ორსათიბავი.

ცერცველა. მაღლობი და მაღალმთიანი რაიონებისათვის ზღვის დონიდან 1.000-დან 2.000 მეტრამდე—ადგილობრივი ახალქალაქური.

მრავალწლიანი ბალახების ხახეთა დარაიონება მინდვრის თესლბრუნვაში ნარევბალახეულების დასათესად

რესპუბლიკაში: საძოვრის კონდარი, ტიმოთელა (სამყურის მთესველი მთიანი და მთისპირა რაიონებისათვის).

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონებისათვის

საშემოდგომო ხორბალი. ზნაურის, ლენინგორისა და სტალინირის რაიონების დაბლობი ნაწილისათვის: დოლის პური 35-4, ადგილობრივი ჯიშები თეთრი დოლი, წითელი დოლი, შავფხა.

საშემოდგომო ქერი. ზნაურის, ლენინგორისა და სტალინირის რაიონების დაბლობი ნაწილისათვის: მრავალმწკრივა ძველთესლი, ნახჭევანდანი.

საგაზაფხულო ხორბალი. ოლქის დაბლობი ნაწილისათვის: თავთუხი.

შვრია. ზნაურის, ლენინგორისა და სტალინირის რაიონების დაბლობი ნაწილისათვის; ხარკოვული 596.

საგაზაფხულო ქერი. ზნაურის, ლენინგორისა და სტალინირის რაიონების დაბლობი ნაწილისათვის: ადგილობრივი ახალთესლი.

სიმინდი მარცვლად. ზნაურის, ლენინგორისა და სტალინირის რაიონების მთისპირა ნაწილისათვის ადგილობრივი თეთრი კაჟოვანა, მინესოტა 13 ექსტრა, ადგილობრივი ყვითელი კაჟოვანა.

ლობიო. საუკეთესო ადგილობრივი ჯიშები.

იონჯა. რაიონების დაბლობი და მთისპირა ნაწილებისათვის: სლავური, ადგილობრივი საუკეთესო ჯიშები (ფრანგული და სხვ.).

სამყურა. სამყურას მთესველი მთიანი და მთისპირა რაიონებისათვის—ორსათიბავი.

ცერცველა. მაღლობი და მაღალმთიანი რაიონებისათვის ზღვის დონიდან 1.000-დან 2.000 მეტრამდე—ადგილობრივი ახალქალაქური.

ესპარცეტი. ადგილობრივი ახალქალაქური.

მრავალწლიანი ბალახების ხახეთა დარაიონება მინდვრის თესლბრუნვაში ნარევბალახეულების დასათესად:

ოლქის დაბლობი ნაწილებისათვის: საძოვრის კონდარი, ტიმოთელა (სამყურის მთესველი მთიანი და მთისპირა რაიონებისათვის).

შენიშვნა: რესპუბლიკის იმ რაიონებში, რომლებიც ზემოთ არ არიან აღნიშნული, დარაიონება დამუშავებული არ არის ჯიშთა გამოცდის მასალის უქონლობის გამო. ამ რაიონებში დაიშვება წარმოებაში არსებული ჯიშები.

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სესიის კომუნიკე

1949 წლის 23 მაისიდან 20 ივნისამდე პარიზში მიმდინარეობდა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მეექვსე სესია, რომელშიც მონაწილეობდნენ საგარეო საქმეთა მინისტრები: საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა ა. ი. ვიშინსკი, საფრანგეთისა ბ-ნი რობერტ შუმანი, დიდი ბრიტანეთისა ბ-ნი ერნესტ ბევინი და ამერიკის შეერთებული შტატებისა ბ-ნი დინ აჩესონი. სესიის დროს განხილულ იქნა გერმანიის საკითხი და ავსტრიის ხელშეკრულება.

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭომ შემდეგი გადაწყვეტილებანი მიიღო:

I. გერმანიის საკითხი

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ამ სესიაზე გერმანიის ეკონომიური და პოლიტიკური ერთიანობის აღდგენის შესახებ შეთანხმების მიღწევის შეუძლებლობის მიუხედავად, სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრები განაგრძობენ ღონისძიებებს, რათა ამ შედეგს მიაღწიონ და, კერძოდ, ახლა შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მეოთხე სესიის განმავლობაში, რომელიც მიმდინარე წლის სექტემბერში იქნება მოწვეული, ოთხი მთავრობა თავიანთ წარმომადგენელთა საშუალებით ასამბლეაზე ერთმანეთს გაუზიარებს შეხედულებებს გერმანიის საკითხის გამო საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს შემდეგი სესიის მოწვევის ვადისა და სხვა პირობების შესახებ.

2. საოკუპაციო ხელისუფალნი, გერმანიის ეკონომიური და პოლიტიკური ერთიანობის აღდგენის მისაღწევად თავიანთ ღონისძიებათა განგრძობის შესახებ მინისტრების განზრახვის მიხედვით, ურთიერთს კონსულტაციას გაუწევენ ბერლინში ოთხმხრივ საფუძველზე.

3. ამ კონსულტაციებს, სხვათა შორის, მიზნად ექნებათ გერმანიისა და ბერლინის არსებული ადმინისტრაციული დაყოფის შედეგთა შერბილება, განსაკუთრებით ქვემოთჩამოთვლილ საკითხებში:

a) დასავლეთ ზონებსა და აღმოსავლეთ ზონას შორის, აგრეთვე ბერლინსა და ზონებს შორის ვაჭრობის გაფართოება და ფინანსური და ეკონომიური ურთიერთობის განვითარება.

b) დასავლეთ ზონებსა და აღმოსავლეთ ზონას შორის, აგრეთვე ბერლინსა და ზონებს შორის პირთა გადაყვანისა და საქონლის გადაზიდვის გაადვილება.

c) განხილვა საკითხებისა, რომლებიც საერთო ინტერესს წარმოადგენენ და ბერლინის ოთხი სექტორის მართვას შეეხებიან, ამასთან მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ამ ქალაქის ცხოვრების ნორმალიზაცია, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

4. მე-3 პარაგრაფით გათვალისწინებულ მუშაობაში დასახმარებლად სათანადო საოკუპაციო ხელისუფალთ შეუძლიათ მიიწვიონ გერმანელი ექსპერტები და მათ იურისდიქციაში მყოფი სათანადო გერმანული ორგანიზაციები. ეს მიწვეული გერმანელები ერთმანეთს გადასცემენ მასალებს, რომლებიც საქმეს შეეხება, მოამზადებენ მოხსენებებს და ურთიერთშორის შეთანხმების მიღწევის შემდეგ წინადადებებს წარუდგენენ საოკუპაციო ხელისუფალთ.

5. სსრ კავშირის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების მთავრობები თანხმდებიან, რომ ნიუ-იორკის 1949 წლის 4 მაისის შეთანხმება ძალაში უნდა დარჩეს. გარდა ამისა, წინა პარაგრაფებში აღნიშნული შემდგომი მიზნების მისაღწევად და იმისათვის, რომ გაუმჯობესებულ და შევსებულ იქნას ეს გეგმა და სხვა გეგმები და შეთანხმებანი აღმოსავლეთ ზონასა და დასავლეთ ზონებს შორის და ზონებსა და ბერლინს შორის პირთა გადაყვანისა, საქონლის გადაზიდვისა და კომუნიკაციების შესახებ, აგრეთვე ტრანზიტის შესახებ, საოკუპაციო ხელისუფალნი, თვითეული თავის საკუთარ ზონაში, ვალდებული იქნებიან მიიღონ საჭირო ზომები პირთა ასეთი გადაყვანისა და საქონლის გადაზიდვისათვის რკინიგზის, წყლისა და საგზაო ტრანსპორტის და ფოსტით, ტელეფონითა და ტელეგრაფით ასეთი კავშირის ნორმალური ფუნქციონირებისა და გამოყენების უზრუნველსაყოფად.

6. საოკუპაციო ხელისუფალნი გერმანიის აღმოსავლეთი და დასავლეთი ზონების ხელმძღვანელ ეკონომიურ ორგანოებს რჩევას აძლევენ ხელი შეუწყონ ზონებს შორის უფრო მჭიდრო ეკონომიური კავშირის დამყარებას და სავაჭრო და სხვა ეკონომიურ შეთანხმებათა უფრო ეფექტიან განხორციელებას.

II. ავსტრიის ხელშეკრულება

საგარეო საქმეთა მინისტრები შეთანხმდნენ:

a) რომ ავსტრიის საზღვრები ისეთი იქნება, როგორიც 1938 წლის 1 იანვრისათვის იყო;

b) რომ ავსტრიის ხელშეკრულებით გათვალისწინებული იქნება, რომ ავსტრია უზრუნველყოფს სლოვენ და ხორვატ ნაციონალურ უმცირესობათა უფლებების დაცვას ავსტრიაში;

c) რომ ავსტრიას არ მოსთხოვენ რეპარაციებს, მაგრამ იუგოსლავიის უფლება ექნება აიღოს, დაიტოვოს ან ლიკვიდაცია უყოს ავსტრიის საკუთრებას, უფლებებსა და ინტერესებს იუგოსლავიის ტერიტორიაზე;

d) რომ საბჭოთა კავშირი ავსტრიისაგან მიიღებს 150 მილიონ დოლარს თავისუფლად საკონვერსიო ვალუტით, რასაც ექვსი წლის განმავლობაში გადაიხდის;

e) რომ საბოლოო ანგარიშსწორებაში შევა:

1. ავსტრიისათვის მთელი იმ ქონების, უფლებებისა ან ინტერესების გადაცემა, რომლებსაც იტოვებენ ან მოითხოვენ როგორც გერმანიის აქტივებს, და ავსტრიაში არსებული სამხედრო-სამრეწველო საწარმოების, საცხოვრებელი სახლებისა და სხვა ამგვარი უძრავი ქონების გადაცემა, რომლებსაც იტოვებენ ან მოითხოვენ როგორც სამხედრო ნადავლს, ამასთან, მოადგილეებს ევალებათ ავსტრიისათვის გადასაცემი სამხედრო ნადავლის კატეგორიების დაზუსტება (გარდა ნავთის აქტივებისა და დუნაის სანაოსნო კომპანიის ქონებისა, რომლებიც საბჭოთა კავშირს უნდა გადაეცეს ხელშეკრულების 35-ე მუხლის სხვა პარაგრაფების ძალით და რომლებიც აღნიშნულია საბჭოთა კავშირის 1948 წლის 24 იანვრის წინადადებებში, იმ სახით, როგორც ისინი გადასინჯულნი იყვნენ, და რომლებიც, როგორც წესი, ავსტრიის იურისდიქციაში რჩებიან). ამის შესაბამისად საბჭოთა კავშირს აგრეთვე გადაეცემა დუნაის სანაოსნო კომპანიის უნგრეთსა, რუმინეთსა და ბულგარეთში არსებული აქტივები, აგრეთვე დუნაის სანაოსნო კომპანიის აღმოსავლეთ ავსტრიაში არსებული აქტივების 100 პროცენტი იმ სიის მიხედვით, რომელიც მოადგილეებს შორის იქნება შეთანხმებული.

2) რომ ეს უფლებანი, საკუთრება და ინტერესები, რომლებიც საბჭოთა კავშირს გადაეცემა, ისევე როგორც ის უფლებანი, საკუთრება და ინტერესები, რომლებსაც საბჭოთა კავშირი ავსტრიას უთმობს, გადაცემული იქნება საბჭოთა კავშირისა ან ავსტრიის მხრივ ყოველგვარი დაბრკოლებისა ან მოთხოვნის გარეშე. ამასთან მხედველობაშია მიღებული, რომ სიტყვებით „დაბრკოლების და მოთხოვნის" იგულისხმება არა მარტო საკრედიტორო პრეტენზიები, რომლებიც ამ ქონების, უფლებებისა და ინტერესებისადმი სამოკავშირეო კონტროლის განხორციელებიდან 1945 წლის 8 მაისის შემდეგ გამომდინარეობენ, არამედ ყველა სხვა პრეტენზიაც, მათ შორის გადასახადების დარგში. აგრეთვე იგულისხმება, რომ საბჭოთა კავშირისა და ავსტრიის მიერ ურთიერთ უარის თქმა დაბრკოლებასა და მოთხოვნებზე შეეხება ყველა დაბრკოლებასა და მოთხოვნას იმ მოცულობით, როგორითაც ისინი იარსებებენ იმ თარიღისათვის, როცა ავსტრია გააფორმებს საბჭოთა კავშირის უფლებებს მისთვის გადაცემულ გერმანულ აქტივებზე, და იმ თარიღისათვის, როცა ავსტრიას ფაქტიურად გადაეცემა საბჭოთა კავშირის მიერ მისთვის დათმობილი აქტივები;

f) რომ გერმანიის ყველა ყოფილი აქტივები, რომლებიც სსრ კავშირის საკუთრებაში გადავიდა, არ ექვემდებარება არავითარ გასხვისებას საბჭოთა კავშირის თანხმობის გარეშე;

g) რომ მინისტრების მოადგილეები მოკლე ხანში განაახლებენ მუშაობას, რათა არაუგვიანეს 1949 წლის 1 სექტემბრისა მიაღწიონ შეთანხმებას ხელშეკრულების მთელი პროექტის მიხედვით.

რკინიგზელის სტალინური დღის შესახვედრად

ჭიათურელ რკინიგზელთა წარმატება

ჭიათურა. (საკ. კორ.). ჭიათურელი რკინიგზელები ჩაებნენ შეჯიბრებაში და იბრძვიან ახალი საწარმოო მიღწევებით შეხვდნენ რკინიგზელის სტალინურ დღეს. მათ იკისრეს წლიური გეგმა შეასრულონ სტალინური კონსტიტუციის დღის—5 დეკემბრისათვის და შეჯიბრებაში გამოიწვიეს შორაპნელი რკინიგზელები.

ჭიათურელები კონკრეტული საქმეებით ანაღდებენ ნაკისრ ვალდებულებას. მათ 113,8 პროცენტით შეასრულეს მაისის გეგმა, გადაჭარბებით შესრულდა ყველა სახის ტვირთების გაგზავნის დავალება. გადაჭარბებით შესრულდა მარგანეცის გაზიდვის გადიდებული გეგმაც. ვაგონების გადმოტვირთვის მაისის გეგმა შესრულდა 149,9 პროცენტით, ვაგონების მოცდენა შემცირდა 36 წუთით.

სტალინური ყოფიერად იმუშავეს ორთქლმავლის მემანქანეებმა. მემანქანე დ. ქათამაძემ მაისში 1,8 ტონა საწვავი დაზოგა, ს. გრიგალაშვილმა — 1,75 ტონა, ხოლო მემანქანე ი. ლონდაძემ—1,5 ტონა. თავდადებულად შრომობენ შემადგენლები შ. კვესიტაძე, ბ. კაპანაძე და შ. ჩაფიძე, რომლებიც მატარებლის შედგენის დროს 15 წუთით ამცირებენ; გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ სადგურის მორიგეები ე. წერეთელი და ა. კაპანაძე, გადამბმელები პ. ჩაფიძე, გ. კაპანაძე, მ. მოდებაძე, დ. ტაბატაძე, მეისრეები ს. ტყემალაძე, ე. ჩაფიძე და სხვ.

ჭიათურელი რკინიგზელები თავიანთი დღესასწაულისათვის ახალ საწარმოო საჩუქრებს ამზადებენ.

ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური ლენა შენგელია თავის გამოცდილებას უზიარებს კოლმეურნე ქალებს, რომელთა სტახანოველებად გამოზრდა მან იკისრა. სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) ლუნა, ცაცა, ჩოხო, ლენა და მარგო შენგელიები.

კოლმეურნე ლ. შენგელიას თაოსნობა

ლენა შენგელია სოფელ ხაბუმის (ჩხოროწყუს რაიონი) ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მეოთხე ბრიგადის პირველი რგოლის ხელმძღვანელია. შარშან მისმა რგოლმა ორი ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან 10.270 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა, ხოლო პირადად 0,5 ჰექტარზე მიიღო 2.382 კილოგრამი ჩაი. 1948 წელს ლ. შენგელიამ გამოიმუშავა 609 შრომადღე.

მიმდინარე წლის დასაწყისში ლენა შენგელიამ იკისრა ჩაის ფოთლის კრეფის 5 სტახანოველის გამოზრდა. ამ ინიციატივამ რაიონის კოლმეურნეთა შორის ფართო გამოხმაურება ჰპოვა. ლენას მაგალითს მიბაძა მერგოლურმა ცაცა ყალიჩავამ და იკისრა 3 სტახანოველის გამოზრდა, ხოლო ნორა გოგუამ 2 სტახანოველის აღზრდა იკისრა. ასეთივე პირობა დადეს სტახანოველებმა ბაბუცა კვარაცხელიამ, ნორა ქარჩავამ, ოლია ვეკუამ და სხვებმა.

ლენა შენგელიას ინიციატივას გამოეხმაურნენ სოფელ ჭოლის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველები ც. ცქვიტაია და ვ. ახალაია, სოფელ ნაფიჩხოვოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველი მეაბრეშუმე დ. დარსალია.

ამ თაოსნობამ პირველი ნაყოფი უკვე გამოიღო. ლ. შენგელიას რგოლმა ჩაის კრეფის მაისის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, ივნისის გეგმასაც მალე შეასრულებს.

ლენა შენგელიას მიერ გამოზრდილი სტახანოველები ყოველდღიურ გეგმებს 200-250 პროცენტით ასრულებენ. ივნისის პირველ დეკადაში ცაცა შენგელიამ მოკრიფა 496 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ლუნა შენგელიამ — 448, ჩოხო შენგელიამ—434, ხოლო მარგო შენგელიამ—414 კილოგრამი.

ნ. ჯოზიდავა

გაძლიერდა ჩაის ფოთლის კრეფის ტემპები

მახარაძის რაიონში წელს ჩაის პლანტაციები მაღალხარისხოვნად დამუშავდა. რაიონის თითქმის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ჩაის მწვანე ფოთოლი საკრეფად დიდი რაოდენობით შემოდის.

ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობას მაისში გეგმის მიხედვით სახელმწიფოსათვის უნდა ჩაებარებინა 222.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. მეურნეობის მუშაკთა კოლექტივი (დირექტორი ამხ. შ. გვარჯალაძე, მთავარი აგრონომი ამხ. შ. კეჭაყმაძე) ჩაება საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლების მოპოვებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და გეგმა გადამეტებით შეასრულა. მეურნეობა დღიურად 25.000—26.000 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს კრეფს.

მთელ მეურნეობაში დაწინაურდა მესამე განყოფილების მეთოთხმეტე ბრიგადა, რომელსაც ვალერიან ნაცვალაძე ხელმძღვანელობს. ბრიგადა ყოველდღიურად 2.000 კილოგრამამდე ჩაის ფოთოლს კრეფს.

კოლმეურნეობათა შორის წინ მიდის ძიმითის „ახალგაზრდა კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ამხ. ს. მუხაშავრია), რომელიც რაიონის კოლმეურნეობათა შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორია. ჯერჯერობით წინ მიდიან ის ბრიგადები, რომელთაც ვასო მგელაძე და კონსტანტინე ხინთიბიძე ხელმძღვანელობენ. კოლმეურნეობაში დღიურად 8.000-9.000 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფენ.

ასევე წარმატებით მიმდინარეობს ჩაის ფოთლის კრეფა ხვარბეთის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც თავმჯდომარედ არის ამხ. გ. მდინარაძე. ამ კოლმეურნეობის მერგოლურმა თამარ ღლონტმა ერთ დღეს 137 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა, სტახანოველმა ნათელა მუჯირმა—115, ხოლო თამარ თავდიშვილმა—117 კილოგრამი. ანია ლოლუამ მიჩენილი 0,5 ჰექტარი პლანტაციიდან 126,6 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი აიღო.

ვ. ჯაყელი

მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური დათვალიერება

ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებით ეწყობა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური დათვალიერება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის, პროფესიული კავშირებისა და კოლმეურნეობების საკლუბო დაწესებულებები—კულტურის სახლები, კლუბები და სამკითხველოები.

დათვალიერების ხელმძღვანელობისათვის შექმნილია რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ზ. კეცხოველის (კომიტეტის თავმჯდომარე), ვ. ხატიაშვილის (კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე), ი. კოჭლამაზაშვილის (კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე), ა. კვაჭაძის, ი. ზოდელავას, მ. ბუჯიაშვილის, პ. კანდელაკისა და გრ. კოკელაძის შემადგენლობით.

საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით დათვალიერებაში მონაწილეობას მიიღებენ: თვითმოქმედი მუსიკალური წრეები, მომღერალთა გუნდები, ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრი, სასულე ორკესტრი, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შემსრულებლები და ანსამბლები; ჯგუფური და ინდივიდუალური შემსრულებლები—ჩონგურის, ფანდურის, სალამურის, სტვირის, ჩანგის, ჭუნირის, აფხერცის, ჭიბონის, სოინარის, ბაიანის, გარმონის, ბალალაიკის, ალმოსავლური ინსტრუმენტების დამკვრელები და სხვ. თვითმოქმედი ქორეოგრაფიული წრეები (ხალხური და სხვადასხვა სახის ცეკვები); დრამატული წრეები (მცირე ფორმის პიესები, სკეტჩები, ვოდევილები, მონტაჟები, მხატვრული კითხვა, მხატვრულ ნაწარმოებთა ინსცენირება და სხვ.); სახვითი ხელოვნების წრეები და ინდივიდუალური შემსრულებლები (ფერწერა, ქანდაკება, მხატვრული ქარგულობა, ხალიჩის ქსოვა, ხეზე კვეთილობა, ძვალზე კვეთილობა, ჭედურობა, ხეზე ამოწვა და სხვ.).

დათვალიერებაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ აგრეთვე ხალხურ მოლექსეებს, მთქმელებს და სხვ.

ადგილობრივი დათვალიერება (სოფლებში და ქალაქებში, რომლებიც რაიონებში შედიან) ეწყობა 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე, სარაიონო და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების)—20 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის—10 სექტემბრიდან 15 სექტემბრამდე.

საქართველოს რესპუბლიკური ოლიმპიადა თბილისში ჩატარდება 18-დან 25 სექტემბრამდე.

დათვალიერების ხელმძღვანელობისათვის სოფლებში, ქალაქებსა და რაიონებში შეიქმნება კომისიები, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში—საორგანიზაციო კომიტეტები.

რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით ადგილებზე დახმარების გასაწევად მივლინებული იქნებიან თეატრალური მუშაკები, მუსიკოსები, მხატვრები, მომღერლები, ქორეოგრაფები და მეთოდისტები. გარდა ამისა, მხატვრული თვითმოქმედების წრეებს დაეგზავნებათ სარეკომენდაციო რეპერტუარი და მეთოდური წერილები.

საკოლმეურნეო საავადმყოფო

ასპინძა. (საკ. კორ.). აქ დაიწყო საავადმყოფოს მშენებლობა. საავადმყოფოს შენობა ორსართულიანი იქნება, რომელშიც მოთავსდება საავადმყოფო, პოლიკლინიკა და სამალარიო სადგური.

მშენებლობაზე აქტიურად მონაწილეობს რაიონის კოლმეურნე გლეხობა. მშენებლობის ადგილას უკვე მიზიდეს საშენი ქვის ხრეში, სილა და სხვა საშენი მასალა. ამ საქმეში განსაკუთრებით ისახელეს თავი სოფელ თოკის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა.

ვამრავლოთ პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის მებრძოლთა რიგები

* *

ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკაში არ ზრუნავენ ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის

თბილისის XIX საქალაქო პარტიული კონფერენციის დელეგატებს შორის დიდი ინტერესი გამოიწვია ამხანაგ ქ. ჩარკვიანის მოხსენების იმ ნაწილმა, რომელიც ბერიას სახელობის თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკის მიერ ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვებას, კერძოდ სევასტოპოლშენის მუშაკის ამხ. კოლობოვის წერილს შეეხებოდა.

— „მე მგონია, — განაცხადა ამხანაგმა ჩარკვიანმა, — ფაბრიკის დირექტორმა ამხ. ბუჯიაშვილმა მართლაც უნდა გააკეთოს დასკვნა ამ ფაქტიდან და დარაზმოს საწარმოს კოლექტივი ხარისხისათვის, ფაბრიკის მარკის ღირსებისათვის საბრძოლველად".

მას შემდეგ 5 თვე გავიდა. ჩვენი რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივებმა მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში, საწარმოო მოწყობილობის ნაყოფიერების გაზრდისა და წარმოების კულტურის ამაღლებისათვის ბრძოლაში, საბრუნავ საშუალებათა ბრუნვის დაჩქარებასა და ნედლეულისა და მასალების დაზოგვაში. მაგრამ აქ, ბერიას სახელობის თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკაში სრულიად არ იგრძნობა ზრუნვა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. მიმდინარე წლის განვლილ 5 თვეში ფაბრიკამ 17,1 პროცენტით ნაკლები პირველი ხარისხის ფეხსაცმელი გამოუშვა, ვიდრე გეგმით ჰქონდა დავალებული, და შესაბამისად გაადიდა მეორე და მესამე ხარისხის პროდუქციის გამოშვება.

ალექსანდრე ჩუტკიხს ამ ფაბრიკაშიც გაუჩნდნენ მიმდევრები. პირველი ბრიგადა, რომელმაც იკისრა დაემზადებინა მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქცია, იყო ოსტატის თანაშემწის ამხ. ოვანესიანის ბრიგადა. ამჟამად ფაბრიკაში 28 საწარმოო უბანსა და 20 ბრიგადას შორის გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება საუკეთესო ხარისხის პროდუქციის დამზადებისათვის, მაგრამ ფაბრიკის ხელმძღვანელები, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები სათანადოდ არ უძღვებიან მათ, რის გამოც მხოლოდ 14 ბრიგადა და უბანი ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას. დანარჩენი ბრიგადები კვლავინდებურად უხარისხო პროდუქციას უშვებენ.

საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის საკითხზე ამას წინათ ფაბრიკაში გაიმართა საამქროს უფროსების, ბრიგადირების, უბნის ოსტატების და მოწინავე სტახანოველების თათბირი, რომელიც არ იყო წინასწარ კარგად მომზადებული. მეორე სამკერვალო საამქროს უფროსმა მ. ხუციშვილმა ბევრი ილაპარაკა ნედლეულის არაკომპლექტურობაზე და სხვა „ობიექტურ" მიზეზებზე, მაგრამ არაფერი თქვა იმ უთავბოლობისა, უდისციპლინობისა და უყაირათობის შესახებ, რამაც ეს საამქრო ჩამორჩენამდე მიიყვანა. 17 ივნისს, მაგალითად, საამქროს წარმოებაში გადაცემულ 1.100 წყვილი ფეხსაცმლიდან გამოუშვეს მხოლოდ 700 წყვილი. თათბირზე ოსტატებმა ა. კირილიუკმა, ა. ბედიაშვილმა, ნ. ბუსლაევმა სცადეს სხვებისთვის გადაებრალებინათ თავიანთი მუშაობის სისუსტე და არაფერი თქვეს იმაზე, თუ თავის მხრივ რას აკეთებენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და წარმოების კულტურის ამაღლებისათვის.

თათბირმა გამოამჟღავნა, რომ საუკეთესო ხარისხის პროდუქციისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებას აქ სათანადოდ ვერ ხელმძღვანელობენ, ხარისხისათვის მებრძოლ ბრიგადებსა და უბნებს ჯეროვნად არ ეხმარებიან, ყურადღება არ ექცევა მოწინავეთა გამოცდილების გაცნობას დანარჩენი მუშებისათვის. ფაბრიკის მესამე სამკერვალო საამქროს სტახანოველმა ა. ბუგიანიძემ ვალდებულება იკისრა 99,3 პროცენტამდე გაედიდებინა მის ბრიგადას პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება. თებერვალში ბრიგადამ ვალდებულება შეასრულა, ხოლო მარტში 99,8 პროცენტი პირველი ხარისხის პროდუქცია დაამზადა. ამასთან ერთისამად გაზარდა რაოდენობრივი მაჩვენებელი.

კარგი მუშაობისათვის ა. ბუგიანიძე მაისში დააწინაურეს მექქსე საწარმოო ნაკადის ფეხსაცმლის გამომყვანი უბნის ოსტატად. მან განიზრახა ეს უბანი გადაექცია საუკეთესო ხარისხის პროდუქციის დამამზადებელ უბნად. უბნის მოწინავე მუშების დახმარებით მან შეძლო კოლექტივის დარაზმვა პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის საბრძოლველად. მაისში ამ საწარმოო უბანმა გეგმა 107 პროცენტით შეასრულა და ვალდებულებით ნაკისრ 98,1 ნაცვლად 98,6 პროცენტი პირველი ხარისხის პროდუქცია დაამზადა, ხოლო ივნისის 16 დღეში პირველი ხარისხის პროდუქციის რაოდენობა 99,5 პროცენტამდე გადიდდა.

უბანში შესვენებისას იმართება 10-წუთიანი საწარმოო თათბირი, სადაც აჯამებენ დღიური მუშაობის შედეგებს, ამხელენ მუშაობაში ხელისშემშლელ მიზეზებს და იქვე იღებენ სათანადო ზომებს. ამას წინათ ერთ-ერთ ასეთ საწარმოო თათბირზე, მაგალითად, გამოირკვა, რომ ლანჩის კიდის შემოჭრაზე მომუშავენი— ნ. სტელმახი და ი. ჩერნიშევი გულგრილად მუშაობენ, რის გამოც მათ გამოუშვეს მეორე ხარისხის პროდუქცია. ნ. სტელმახსა და ი. ჩერნიშევს ამაზე ამხანაგებმა მიუთითეს და მათაც შეძლეს ამ მხრივ თავიანთი ნაკლის გამოსწორება.

კარგი მიღწევები აქვთ ა. ბუგიანიძის უბნის მუშაკებს, მაგრამ იგი მათ საფაბრიკო პროფესიული ორგანიზაციის დახმარებით როდი მიაღწიეს. პროფორგანიზაცია, თითქოს ეს მას არ შეეხებოდეს, არავითარ ზომას არ იღებს ბუგიანიძის უბნის მუშაკთა გამოცდილების პოპულარიზაციისათვის.

მ. არუშიძე

ჩვენ ფეხიდან

საკოლმეურნეო ქონების გამფლანგველები

შარშან ონის რაიონის სოფელ უწერის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში თიბვაზე მუშაობდნენ კოლმეურნეები ალექსანდრე, გრიგოლ, გიორგი, ნიკოლოზ, თომა, მიხეილ მეტრეველები და სხვები. ამისათვის მათ კოლმეურნეობის გამგეობამ დაურიცხა 6-6 შრომადღე, სულ კი 80 ცენტნერი თივის მოთიბვაზე—160-მდე შრომადღე. მაგრამ აღნიშნულმა პირებმა თივა დაიტაცეს, პირადი სარგებლობისათვის წაიღეს და შრომადღეების ღირებულებაც მიიღეს.

კოლმეურნეობის წევრთა მოთხოვნის შედეგად კოლმეურნეობის გამგეობამ სამჯერ გამოიტანა დადგენილება დატაცებული თივის დაბრუნებისა და განსაზოგადოებული პირუტყვის სადგომ ბინებთან მიტანის შესახებ. მაგრამ გამგეობის დადგენილებები ქაღალდზე დარჩა და მათი განხორციელებისათვის არავის უზრუნია, როცა ამ კოლმეურნეობის პირუტყვი საკვების დიდ ნაკლებობას განიცდიდა და მეზობელ კოლმეურნეობებში დაეძებდნენ შესასყიდლად, რისთვისაც დახარჯეს შრომადღეებზე გასაცემი სიმინდი. კიდევ მეტი. ხვნა-თესვა ამ კოლმეურნეობაში საგრძნობლად გააჭიანურეს საკვების ნაკლებობის გამო.

ყოველივე ეს უწერის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი მუშაკების ცხვირწინ ხდება, მაგრამ დღემდე მათ აღნიშნული დარღვევის ლიკვიდაციისათვის სათანადო ზომები არ მიუღიათ. აღნიშნული დარღვევის სალიკვიდაციოდ არც რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების მუშაკებს შეუწუხებიათ თავი.

უწერელი კოლმეურნეები, რომლებმაც ამხილეს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ასეთი დარღვევა, მოითხოვენ დატაცებული თივის ანაზღაურებას და დამნაშავეთა დასჯას.

გ. მეტრეველი

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

მომხმარებლებისადმი უხეშად მოპყრობისათვის

ამას წინათ რედაქციამ მიიღო წერილი, რომლის ავტორები ამხილებდნენ თბილისის რაიონის კუმისის სოფლის კოოპერატივის მაღაზიის გამგეს რ. ზალიევს ვაჭრობის წესების დარღვევასა და მომხმარებლებისადმი უხეშად მოპყრობაში. ამ წერილთან დაკავშირებით მშრომელთა დეპუტატების თბილისის რაისაბჭოს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილების გამგე ამხ. ნ. ბაიდაური გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. კუმისის სასოფლო კოოპერატივის მაღაზიის გამგე რ. ზალიევი ვაჭრობის წესების დარღვევისა და მომხმარებლებისადმი უხეში მოპყრობისათვის მოხსნილია სამუშაოდან.

ხ ა ლ ხ ი ს ძ ა ლ ა

სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა მეოთხე ხუთწლიან გეგმაში შეტანილია ამხანაგ სტალინის მითითებით.

ქ. ჩარკვიანი

მთელ საბჭოთა ქვეყანაში, მის უშორეს მხარეებსა და კუთხეებში, დღითიდღე მრავლდება მაგალითები იმ ახალის, თავისებურის, რომელიც წარმოადგენს ჩვენი საბჭოთა ცხოვრების სახეს. იქმნება და ყალიბდება ახალი ეთიკა, ახალი მორალი, ადამიანის ღირსების შეფასების ახალი კრიტერიუმი.

თავისი ცხოვრებისა და ბედის ბატონ-პატრონი საბჭოთა ადამიანი სოციალისტური საზოგადოების წინაშე თავისი მოვალეობის ღრმა შეგნებით, ახალი კომუნისტური სამყაროს მშენებლის ურყევი რწმენით, დაუღალავად და სიყვარულით მუშაობს სამშობლოსათვის, რადგან საბჭოთა სახელმწიფოს ძალაში თავის ძალას ხედავს, მის ბედნიერებასა და დიდებაში თავის ბედნიერებასა და დიდებას პოულობს.

საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკურმა ერთიანობამ, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესების ერთიანობამ შექმნა ჩვენში სოციალისტური მშენებლობის ის ჯერ არნახული პათოსი და გაქანება, მუშათა კლასისა და გლეხობის ის შრომითი ენთუზიაზმი, რომელმაც მთელი მსოფლიო განაცვიფრა.

განუზომლად დიდია ჩვენი ხალხის შემოქმედებითი აღმაფრენა. ხალხი პარტიისა და მთავრობის გეგმას ისე უყურებს, როგორც თავის საკუთარ გეგმას, საკუთარ საქმეს, და მისი ვადაზე ადრე განხორციელებისათვის არაფერს ზოგავს.

როგორც ცნობილია, სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა, რომელიც გათვალისწინებული იყო ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედით, უეცრად, როგორც ეს ხშირად ხდება ჩვენში, გადაიქცა სახალხო მშენებლობად. ხალხი ჩაება ამ მშენებლობაში და ფართოდ გააჩაღა სოციალისტური შეჯიბრება, მან შეიმუშავა თავისი ნორმები, დასახა თავისი ვადები, რომლებმაც გასაოცარი შედეგები მოგვცეს.

„...არ არის ბედნიერებისაკენ უფრო უტყუარი გზა, ვიდრე თავისუფალი შრომის გზა", — წერდა „პრავდაში" მაქსიმ გორკი 1920 წლის პირველმაისობის შაბათობის შესახებ.

კომუნისტური შაბათობის იდეა ჩაისახა სამოქალაქო ომისა და უცხოელთა სამხედრო ინტერვენციის მძიმე წლებში. მაშინ ახალგაზრდა რესპუბლიკის დასაცავად თავდადებულ ბრძოლაში ჩაბმულმა მუშათა კლასმა როგორც ბრძოლის, ისე შრომის ფრონტზე გმირობისა და მამაცობის საოცარი მაგალითები გამოავლინა. მუშები სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ სრულიად უსასყიდლოდ ზედმეტ საათებს მუშაობდნენ ქარხნებსა და ფაბრიკებში, მშენებლობაზე და ტრანსპორტზე.

სამი ათეული წელი გავიდა მას შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში გაიზარდა და გაძლიერდა ჩვენი ქვეყანა. იგი გადაიქცა უძლეველ სოციალისტურ სახელმწიფოდ. გარდაიქმნა ადამიანთა სულიერი სახე, ამაღლდა მათი კომუნისტური შეგნებულობა.

სახალხო მშენებლობა ხულიერად ამაღლებს საბჭოთა ადამიანებს, ახალი გამარჯვებებისათვის რაზმავს მის ძალებს. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა პირველ კომუნისტურ შაბათობაში დაინახა მუშათა კლასის უდიდესი გმირობა, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების დიადი თაოსნობა. „...საკუთრება ადამიანებს ერთმანეთისაგან თიშავს და მხეცებად აქცევს, შრომა კი აერთიანებს",—გვასწავლის ვ. ი. ლენინი.

იმის შეგნება, რომ საბჭოთა ადამიანი მუშაობს არა კაპიტალისტისათვის, არამედ თავისი სახელმწიფოსათვის, თავისი კლასისათვის, თავისი თავისათვის, ხდის შრომას სახალხოს. სახალხო შრომა იყო და არის დიადი ძალა სტალინური ხუთწლედების წარმატებით შესრულებისათვის. ეს ძალა მოქმედებს დღესაც ჩვენი მეოთხე სტალინური ხუთწლედის ერთ-ერთ მთავარ და გრანდიოზულ მშენებლობაზე — სამგორის მინდვრებზე.

* * *

მზისაგან გადამწვარ, გადარუჯულ ვრცელ ველზე, რომელზეც არც ერთი ხე, არც ერთი ბუჩქი არ მოჩანს ირგვლივ, ერთმანეთის გვერდით დგას ისევე უსიცოცხლო და უფერული, როგორც თვით ველი, სამი გორაკი. აი რატომ ჰქვია სამგორი მთელ ამ უწყლო, მზისაგან და ქარისაგან გამოფიტულ მთებსა და ველებს.

მრავალი ლეგენდა და თქმულება დარჩენილა ხალხში სამ გორაკზე. ერთ დროს სამგორის მინდვრები და მთები პურის ყანებით და ბაღ-ვენახებით ყოფილა დაფარული, დოვლათიანი და მაძღარი ყოფილან სოფლები, მცხოვრებნი ჯანმრთელნი და ღონიერნი.

რამ აქცია ეს ბარაქიანი და მადლიანი მთა-ველები ურგებ ყამირად, რამ მოკლა მიწა? მტერთა ურდოების განუწყვეტელმა შემოსევამ. ვის არ შებმია ამ მიწებზე ქართველი ერი, არაბებს თუ მონღოლებს, სპარსებს თუ ოსმალებს. მტერი არაფერს ინდობდა, კაფავდა ბაღსა და ვენახს, წვავდა ტყესა და ყანას, ანადგურებდა სოფლებს. სისხლით ირწყვებოდა, ძვლებით იფინებოდა მიწა, პირქუში და მრისხანე ხდებოდა ბუნება. ნადგურდებოდა ეს აყვავებული ადგილები, მაგრამ სისხლისაგან იცლებოდა მტერიც. ვერც ერთმა დამპყრობმა ვერ მოიკიდა ფეხი ჩვენს მშობლიურ მიწაზე.

როგორც გამარჯვებისა და ქედმოუხრელობის სიმბოლო, დგას დღეს სამგორის ველზე მრავალ საუკუნეთა მანძილზე უცვლელი, მშობლიური მიწის დამცველთა ძვლებისაგან შემდგარი ძმათა სასაფლაო—სამი გორა.

ხალხი ვერ ასწრებდა აჰრილ-აკაფული ბაღებისა და ტყეების გაშენებას. ჩაყრიდა ვაზს, ბაღს თუ ტყეს, სხვა ურდო მოადგებოდა კარს. კაცი და ქალი თავს ანებებდა ყანას, ეზო-კარს. იარაღს ისხამდა. გაუშენებელი რჩებოდა ბაღი და ვენახი. ისპობოდა ნარგავები, იჩეხებოდა ტყე, შრებოდა წყალი. ურგები ხდებოდა უწყლოდ დარჩენილი მიწა. ღატაკდებოდა ხალხი.

იქნებ აქ, ამ მიწებზე წარმოითქვა პირველად ხალხის სევდით და ხიმწარით სავსე სიტყვა—საწყალი. საწყალი იყო, ვისაც წყალი არ ჰქონდა, ვინც მიწას ვერ რწყავდა.

ასე გაჩანაგდა ოდესღაც სიუხვით სავსე მიწა. განადგურდა ხალხი, რადგან თანდათან კვდებოდა მიწა. დამსკდარი ნოყიერი ნიადაგი გატეხილი ქოთანივით იდო მცხუნვარე მზის ქვეშ.

ხალხი ნაწილ-ნაწილ ტოვებდა უსიცოცხლო მიწას, მაგრამ ყველა ვერ თმობდა მამა-პაპათა სისხლით და ოფლით მორწყულ ბუდეს, ვერ თმობდა იმიტომ, რომ სადღაც, სულისა და გონების სიღრმეში, მაინც ჰქონდა იმის რწმენა, რომ ადრე თუ გვიან წყალი უსათუოდ მოვიდოდა სამგორში. სამგორელთა ეს რწმენა მთელი ქართველი ხალხის რწმენად იქცა. ხალხს უკვე ესმის დიდი ხნის ნანატრი წყლის ხმაური სამგორის მიწაზე.

მცირენი არ ყოფილან სამგორის მკვიდრნი, რომ დღემდე შერჩა ამდენი სოფლები მის მიწებს. შერჩა ხალხი, შერჩა თბილი კერა. ხალხმა შეინახა, არ ჩააქრო იგი, არ ჩააქრო იმიტომ, რომ არ ჩამქრალა მათი საუკუნო ოცნება სამგორის წყალზე.

არაერთხელ მიუმართავთ სამგორის მცხოვრებთ თვითმპყრობელური მეფის რუსეთის ხელისუფალთათვის, მაგრამ მეფის მოხელეებს სამგორის მორწყვის პრობლემა ზღაპრად მიაჩნდათ. ხელისუფალთაგან ხელკრული ხალხი ზეცას შესთხოვდა შველას.

— შესთხოვეთ ზეცას! ვედრება ნუგეშია, იგი უფრო იაფია, — ამშვიდებდნენ ხალხს მეფის მოხელენი. მუხლები ლოცვით უკოჟრდებოდათ გლეხებს, ხელები შრომით. მათ გაჭირვებას არც წელგაუმართავი შრომა შველოდა და არც მუხლმოყრილი ლოცვა.

მხოლოდ ჩვენმა მშობლიურმა საბჭოთა ხელისუფლებამ შეძლო ხალხის საუკუნო ოცნების ხორცშესხმა. მოწინავე საბჭოთა მეცნიერების მიღწევათა საფუძველზე, ხალხის კეთილდღეობისათვის შექმნილი უხვი სახსრებით დღეს მკვდრეთით დგება სამგორის ველი.

ნიადაგის უებარი დოსტაქარი, დიდი რუსი მეცნიერი ვ. ვ. დოკუჩაევი თავის წიგნს, „ჩვენი ველები წინათ და ახლა" შესანიშნავი ზღაპრით იწყებს: თურმე ერთი მგზავრი მრავალი საუკუნის მანძილზე გადადიოდა ქვეყნის ერთი კიდიდან მეორემდე. ერთხელ მგზავრმა რომელიღაც ძველი ქალაქის ქუჩაზე გამვლელი შეაჩერა და ჰკითხა: „რამდენი ხანია, რაც ეს ქალაქი აშენდა?", „იმდენი ხანია, რომ ჩვენ არ გვახსოვს მისი დაარსება",—უპასუხა გამვლელმა.

ხუთასი წლის შემდეგ მგზავრმა კვლავ გაიარა იმავე ადგილზე. იქ ქალაქის ნასახიც არ ჩანდა. „დიდი ხანია დაანგრიეს ქალაქი, რომელიც აქ იყო?—ჰკითხა მგზავრმა გლეხს, რომელიც იქვე ბალახს თიბავდა. „საოცარი კითხვაა,—უპასუხა გლეხმა. — აქ არასოდეს არ ყოფილა ქალაქი. ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ არაფერი უთქვამთ ჩვენთვის მამაპაპათ".

კიდევ ხუთასი წლის გასვლის შემდეგ მგზავრი ამ ადგილზე ზღვის ნაპირს წააწყდა. „როდის დაფარა ეს მიწა ზღვამ?"—ჰკითხა მგზავრმა მეთევზეს. „აქ ყოველთვის ზღვა იყო", უპასუხა მეთევზემ.

არ იქნება საჭირო ასეული წლის გასვლა, რომ მგზავრმა ვერ იცნოს სამგორის მთა-ველები. ჩვენს შვილებს და შვილიშვილთ რომ შეეკითხონ, დიდი ხანია სამგორის მკვდარი მიწა აყვავებულ ბაღ-ვენახებად იქცაო, დიდი ხანია თბილისს ზღვა აქვსო, გორაკები და მინდვრები სოფლებით და დაბებით მოიფინაო, ისინი ზღაპრის მეთევზისა და მთიბავივით როდი გაიკვირვებენ და ამაყად უპასუხებენ, რომ მათ თვალწინ აღსდგა და აყვავდა საუკუნეების განმავლობაში მკვდარი სამგორი.

* * *

შარშან სამგორის ზემო მაგისტრალური არხის მშენებლობაზე ერთსულოვნად გამოვიდნენ ქალაქ თბილისისა და მის ახლომდებარე სოფლების მშრომელები. ამ შესანიშნავ თაოსნობას მთელი ქართველი ხალხი გამოეხმაურა.

მშენებლობას მოაწყდნენ ახლო-მახლო რაიონების კოლმეურნენი, მაგრამ მალე საქართველოს შორეული კუთხეებიდანაც დაიძრა ხალხი. მაღალი მთებიდან დაეშვნენ ფშაველები და ოსები, სურამის უღელტეხილიდან გადმოვიდნენ იმერლები, შიდა კახეთის და ქართლის ველებიდან დარაზმულად, ორგანიზებულად მოვიდნენ კოლმეურნეები. არასოდეს არ უნახავს საქართველოს ასეთი დიდი ნადი. შრომამ გააერთიანა ხალხი. პატრიოტიზმმა, სახალხო საქმის სიყვარულმა ერთად შეყარა რამდენიმე ათეული ათასი ადამიანი.

სამგორის წყალი არასოდეს არ ავა ფშავეთის და იმერეთის მთებზე, არ გაივლის შიდა ქართლის და კახეთის ველებზე, მაგრამ კახელები, ოსები, იმერლები ამაზე არ ფიქრობდნენ. ისინი აქ მოიყვანა სოციალისტური თანაცხოვრების კანონმა.

ნადმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. არხზე ათჯერ უფრო მეტი ხალხი მოზღვავდა. მშენებლობის ხელმძღვანელები ოფლში იწურებოდნენ, რათა ხალხის განუწყვეტელი ნაკადი გეგმიანად გაენაწილებინათ ტრასაზე, ყველასათვის მიეზომათ სამუშაო ფართობი, მოემარაგებინათ სამუშაო იარაღებით. მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია მოითხოვდნენ წერაქვებს, ბარს, საზიდარს, მეტ ფართობს, მეტ სამუშაოს. ყველას უნდოდა თავისი წვლილი შეეტანა იმ მადლიან საქმეში, რომელსაც მრავალი ასეული წლების მანძილზე ელოდა ხალხი. ყველას სურდა თავისი შრომა და ჯაფა ეგრძნობინებინა მიწისათვის, რომელსაც რამდენიმე წლის შემდეგ ყოველ კიდით მოედება იორის ანკარა წყალი.

არხში ჩამდგარი რამდენიმე ათასი კაცის დანახვისას, არ შეიძლებოდა ერთხელ კიდევ არ გაგხსენებოდა დიდი ლენინის სიტყვები: შრომა აერთიანებს საბჭოთა ადამიანებს.

იქ, სადაც ერთ დროს მზისაგან გადარუჯულ ყანებში ჩაჩოქილი, ილაჯგაწყვეტილი გლეხობა მოთქმით მოუხმობდა „წმიდა ლაზარეს", ახლა მხარიმხარში ამომდგარი, მაღალი ტექნიკით შეიარაღებული სოფლელი და ქალაქელი ერთი ძალით, ერთი სულით ებრძოდა ყამირს, რათა ამიერიდან თავისი ნება-სურვილი ეკარნახა ბუნებისათვის.

გრიგოლ ჩიქოვანი

(დასასრული იქნება)

ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებული პლენუმის რეზოლუცია ტიტოს ხროვის გამცემლური და პროვოკაციული საქმიანობის შესახებ

სოფია, 17 ივნისი. (საკდესი). გაზეთმა „რაბოტნიჩესკო დელომ" გამოაქვეყნა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებული პლენუმის რეზოლუცია ტიტოს ხროვის გამცემლური და პროვოკაციული საქმიანობის შესახებ.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებულმა პლენუმმა, რომელიც 1949 წლის 11 და 12 ივნისს შედგა,— ნათქვამია რეზოლუციაში,—მოისმინა რა მოხსენება ტიტოს ხროვის მტრული, ცილისმწამებლური და პროვოკაციული ქცევის შესახებ საბჭოთა კავშირის და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მიმართ, აგრეთვე ბულგარელი ხალხის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩვენი პარტიის მიმართ, მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

1. პლენუმი უდიდეს აღშფოთებას გამოთქვამს და გმობს როგორც მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საქმის გამცემლობას იმ ცილისმწამებლურ და პროვოკაციულ კამპანიას, რასაც ტიტოს ხროვა იმპერიალისტების ინტერესებისათვის სისტემატურად ეწევა სიტყვების წარმოთქმის, პრესისა და რადიოს საშუალებით საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ.

2. პლენუმი უაღრესად მკვეთრად გმობს ტიტოს ხროვის მტრულ ცილისმწამებლურ და პროვოკაციულ საქმიანობას, რომელიც მიმართულია ჩვენი ხალხის, ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი პარტიის წინააღმდეგ და რომლის მიზანია შეცდომაში შეიყვანოს იუგოსლაველი ხალხები, მკვდრეთით აღადგინოს ნაციონალისტური მტრობა, რასაც წინათ ხელს უწყობდნენ რეაქციულ-ფაშისტური რეჟიმები. და, ამრიგად, შეარყიოს ნიადაგი, რომელზეც დამყარებულია ბულგარელი და იუგოსლაველი ხალხების მჭიდრო ძმური ურთიერთობა.

3. ტიტოს გამცემლური ანტიკომუნისტური და ანტიბულგარული ხროვისადმი ჩვენი პარტიისა და ჩვენი ხალხის დამოკიდებულება არ შეიძლება ავურიოთ და არ უნდა ავურიოთ ჩვენს დამოკიდებულებას მოძმე იუგოსლაველი ხალხისადმი, რაც მუდამ უაღრესად გულწრფელი და უაღრესად გულითადია.

სისხლმა, რაც ბულგარეთის სახალხო არმიამ და იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელმა ჯარებმა საბჭოთა სარდლობის ხელმძღვანელობით ერთობლივ ბრძოლაში დაღვარეს იუგოსლავიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილიდან გერმანელი ოკუპანტების განდევნისათვის, ცხადყო, თუ რა ძმური სოლიდარობის და ურთიერთთანამშრომლობის გრძნობებით არის გამსჭვალული ბულგარელი ხალხი იუგოსლაველი ხალხებისადმი.

4. ჩვენ უაღრესად მხურვალე სიმპათიებს და სრულ სოლიდარობას გამოვთქვამთ იუგოსლაველი მებრძოლებისადმი—კომუნისტებისა და უპარტიოებისადმი, რომლებიც იბრძვიან ტიტოს ხროვის გამცემლობისა და მოღალატეობის პოლიტიკის წინააღმდეგ. იბრძვიან მოძმე იუგოსლავიაში თავისუფლებისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის და იუგოსლავიის დასაბრუნებლად ანტიიმპერიალისტური ბრძოლის ფრონტის, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ფრონტის რიგებში, რომელსაც დიდი საბჭოთა კავშირი მეთაურობს.

5. ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებულ პლენუმს სავსებით სამართლიანად და საბჭოთა მთავრობის მიერ იუგოსლავიის მთავრობისათვის გაგზავნილი, ამა წლის 2 ივნისს გამოქვეყნებული საპასუხო ნოტის შინაარსის შესაბამისად მიაჩნია, რომ ჩვენმა ქვეყანამ კვლავაც მისცეს თავშესაფარი და ძმური სტუმართმოყვარეობა გაუწიოს იუგოსლაველ რევოლუციონერ ემიგრანტებს, ხოლო ჩვენმა დემოკრატიულმა საზოგადოებრიობამ ყოველმხრივ დაუჭიროს მხარი მათს განმათავისუფლებელ მოღვაწეობას, რასაც ისინი, ახლა, ტიტოს ხროვის ტერორის გამო თავიანთი ქვეყნიდან იძულებით გადახვეწილნი, აწარმოებენ საზღვარგარეთ.

იუგოსლაველი რევოლუციონერი ემიგრანტები იბრძვიან ტიტოელთა იმ ცდების წინააღმდეგ, რომ იუგოსლავია დაუმონონ იმპერიალისტებს, ძირი გამოუთხარონ მეგობრობასა და ძმურ თანამშრომლობას იუგოსლაველ ხალხებსა და ბულგარელ ხალხებს შორის. ეს ემიგრანტები არიან იუგოსლაველი ხალხების ყველაზე ერთგული და პატიოსანი შვილები, სახელოვანი მებრძოლნი თავის სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის, ნამდვილი სოციალისტები და დემოკრატები, ყველაზე გულწრფელი მებრძოლნი ბულგარეთ-იუგოსლავიის მეგობრობისათვის.

6. ჩვენი პარტია და ჩვენი ქალაქებისა და სოფლების მშრომელი ხალხი მთელ თავიანთ მოღვაწეობაში მტკიცედ იდგნენ და კვლავაც შეურყევლად დარჩებიან განთავისუფლებისათვის მებრძოლი იუგოსლაველი ხალხების მხარეზე.

ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებული პლენუმის გადაწყვეტილება ტრაიჩო კოსტოვის ანტიპარტიული საქმიანობის შესახებ

სოფია, 17 ივნისი. (საკდესი). დღეს გაზეთ „რაბოტნიჩესკო დელოში" გამოქვეყნდა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებული პლენუმის გადაწყვეტილება ტრაიჩო კოსტოვის ანტიპარტიული საქმიანობის შესახებ.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც შედგა 1949 წლის 11-12 ივნისს, ნათქვამია გადაწყვეტილებაში, შეაფასა ტრაიჩო კოსტოვის ანტიპარტიული საქმიანობა და გაითვალისწინა რა:

რომ ტრაიჩო კოსტოვი შემწყნარებლობას იჩენდა პარტიაში ანტისაბჭოთა განწყობილებებისადმი, რაც შედეგად მოჰყვა მის ნაციონალისტურ გადახრას, და თვითონვე ნერგავდა ამ განწყობილებას;

რომ იგი მავნე ანტიპარტიულ მეთოდებს იყენებდა პარტიის ხელმძღვანელობასა და სახელმწიფოს მართვაში;

რომ იგი ცდილობდა ფრაქციული ბრძოლა გაეღვივებინა პარტიაში, შეექმნა იქ ანტიპარტიული ფრაქცია და გაეთიშა პარტია;

რომ იგი შეეცადა უნდობლობა გამოეწვია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში ბულგარეთის კომპარტიისა და პარტიული ხელმძღვანელობისადმი;

რომ იგი მხილებულია უპატიოსნო ორპირულ დამოკიდებულებაში პარტიული ხელმძღვანელობისა და ამხ. გიორგი დიმიტროვისადმი, საკავშირო კომუნისტური პარტიისადმი (ბ) და ამხანაგ სტალინისადმი და პარტიის მოტყუების ცდაში;

მიიღო რა მხედველობაში აგრეთვე, რომ მან არ მოისურვა სერიოზულად და გულწრფელად გაეკრიტიკებინა თავისი შეცდომები, გაითვალისწინა რა თითქმის ყველა პარტიულ კრებაზე გამოთქმული აზრები და მხედველობაში მიიღო რა სოფიის საქალაქო და პლოვდივის საქალაქო და საოკოლიო კომიტეტების წინადადება, პარტიის წესდების 58-ე პარაგრაფის საფუძველზე გადაწყვიტა:

გამოყვანილ იქნას ტრაიჩო კოსტოვი ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან და გაირიცხოს იგი პარტიის რიგებიდან.

პლენუმი ავალებს პოლიტბიუროს მიიღოს ზომები იმისათვის, რომ ტრაიჩო კოსტოვი გამოყვანილ იქნას სამამულო ფრონტის ეროვნული საბჭოს შემადგენლობიდან და ჩამოერთვას მას დეპუტატის მანდატი.

ათენის მთავრობის ჯარებმა სროლა აუტეხეს ბულგარეთის პატრულებს

ნიუ-იორკი, 18 ივნისი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნომ ცნობა გამოაქვეყნა, რომ ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კოლაროვმა 14 ივნისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ტრიუგვე ლის მიმართა დეპეშით, რომელშიც პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ ათენის მთავრობის ჯარებმა ზლატოგრადის რაიონში 4 და 5 ივნისს სროლა აუტეხეს ბულგარეთის პატრულებს.

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიაზე

პარიზი, 19 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს შედგა სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების დახურული თათბირი იმ საკითხებზე, რომლებიც განხილულ იქნა წინა სხდომებზე გერმანიისა და ავსტრიის შესახებ. ხვალ შედგება საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პლენარული სხდომა.

პარიზის ანტიდეგოლური მიტინგის მონაწილეთა მანიფესტი

პარიზი, 19 ივნისი. (საკდესი). გაზეთი „ლუმანიტე-დიმანში" ხაზგასმით აღნიშნავს პარიზის ანტიდეგოლური დემონსტრაციის წარმატებას და წერს:

„18 ივნისის დღე დიდი გაკვეთილია იმათთვის, ვისაც განუზრახავს ხელყოს რესპუბლიკა. პარიზის ხალხმა აღნიშნა, რომ დე გოლი რესპუბლიკის ბოროტი მტერია". გაზეთი აღნიშნავს, რომ პარიზის ანტიდეგოლურ დემონსტრაციაში სულ 200 ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მანიფესტი, რომელშიც აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაიცვან რესპუბლიკა დეგოლელ შეთქმულთა ხელყოფისაგან. „ვერც განთავისუფლების მოძრაობისადმი ღალატი, ვერც დევნა, რასაც ამ მოძრაობის ყოფილი მონაწილენი და პროფკავშირულ ორგანიზაციათა წევრები განიცდიან, ვერც კაპიტულანტებისა და სხვა მტრების მანევრები ვერ გათიშავენ რესპუბლიკელებს, — ნათქვამია მანიფესტში. — პარიზის ხალხი, რომელიც ამ მოედანზე შეიკრიბა, გამოთქვამს თავის რწმენას რესპუბლიკისადმი. ჩვენ ვიცით, რომ თავისუფლებისა და მშვიდობისათვის ბრძოლა შეხამებულია იმ ბრძოლასთან, რასაც ჩვენ ყოველდღე ვეწევით. ჩვენ ვიცით, რომ ეს ბრძოლა ჩვენგან მამაცობასა და სიმტკიცეს მოითხოვს. ჩვენ ვიცით, რომ ყოველთვის ძნელ ჟამს მოქალაქენი, რომელთაც შეგნებული აქვთ საფრთხე, უფრო მჭიდროდ ირაზმებიან ერთად, რათა გადაარჩინონ ქვეყანა. ჩვენ, ყველანი ერთად, კიდევ უფრო განვამტკიცებთ ერთიანობას და განვაგრძობთ ჩვენს წინსვლას... აქ შეკრებილნი აფრთხილებენ იმათ, ვისაც სურს ლახვარი ჩასცეს რესპუბლიკურ თავისუფლებებს: ის ადამიანები, რომლებიც დღეს დარწმუნდნენ ჩვენი მისწრაფების ძალაში, დაინახავენ, რომ ჩვენი მოძრაობა უფრო ფართო მასშტაბს მიიღებს მომავალში, კერძოდ, ამა წლის 14 ივლისს.

გაუმარჯოს რესპუბლიკას".

გაზეთ „ლუმანიტე დიმანშის" ცნობით, გუშინ მთელ რიგ ადგილებში მანიფესტაციისა და კონტრმანიფესტაციის დამთავრების შემდეგ რესპუბლიკელთა და დეგოლელთა ჯგუფებს შეტაკება მოუხდათ. პარიზის ერთ-ერთ რაიონში დემონსტრაციიდან დაბრუნებულ რესპუბლიკელებს თავს დაესხა რამდენიმე დეგოლელი. რესპუბლიკელებმა მალე განაიარაღეს დეგოლელები და „მარსელიეზის" სიმღერით განაგრძეს გზა. გზაზე მათ თავს დაესხნენ „რესპუბლიკური უშიშროების რაზმელები". მოხდა შეტაკება, რის შედეგადაც ბევრი რესპუბლიკელი დაიჭირა და დაპატიმრებულ იქნა.

ელას პრესის სააგენტო ამერიკელების მიერ საბერძნეთში მხუთავი გაზების საწარმოებლად მასალების მიწოდების შესახებ

ბუქარესტი, 16 ივნისი. (საკდესი). ელას პრესის სააგენტო რადიოთი გადმოსცემს საბერძნეთის დროებითი დემოკრატიული მთავრობის კომუნიკეს:

„საბერძნეთის დროებითი დემოკრატიული მთავრობა მთელ ცივილიზებულ მსოფლიოს აუწყებს შემდეგს:

მიმდინარე წლის 12 ივნისს ღამით ამერიკის, გემმა პირამაში, პირეის ახლოს, გადატვირთა მასალები მხუთავი გაზების საწარმოებლად. ეს მასალები დატვირთეს 100 სამ-სამ ტონიან სატვირთო მანქანაზე.

თითოეულ მანქანას მიაცილებდა სამი ინგლისელი ჯარისკაცი.

პერამასა და პირეის შორის მოძრაობა შეწყვეტილ იქნა და მთელ ამ გზას პოლიციელები იცავდნენ დაწყებული 12 ივნისის ღამის 10 საათიდან 13 ივნისის დილის 9 საათამდე.

დროებით დემოკრატიულ მთავრობას მოეპოვება შემოწმებული ცნობები, რის მიხედვითაც ამერიკელებსა და ინგლისელებს, რომელთაც ძალა არ შესწევთ დაამარცხონ დემოკრატიული არმია, განზრახული აქვთ მიმართონ მხუთავი გაზების გამოყენებას.

ვაცნობებთ რა მთელ ცივილიზებულ მსოფლიოს ამ ახალი დანაშაულის შესახებ, რომელსაც იმპერიალისტი მჩაგვრელები ამზადებენ საბერძნეთში, მოვუწოდებთ მსოფლიოს საზოგადოებრიობას პროტესტი განაცხადოს ამის წინააღმდეგ, ხელი შეუშალოს ამ ახალი დანაშაულის განხორციელებას".

ტელეპრესის სააგენტო შახტის შესახებ

პრაღა, 19 ივნისი. (საკდესი). ტელეპრესის სააგენტოს კორესპონდენტი ბერლინიდან გადმოგვცემს, რომ ჰიტლერის ყოფილი საფინანსო მრჩეველი შახტი ორ ლექციას გეტინგენის უნივერსიტეტში წაიკითხავს თემაზე „გერმანიის ეკონომიური პრობლემები პირველი და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ".

ამ კვირის დამდეგს გერმანიაში ამერიკის სამხედრო გუბერნატორის მოადგილემ გენერალმა ჰეისმა განაცხადა, თუ დენაციფიკაციის სასამართლომ შახტი გაამართლა, მას ვერაფერი დააბრკოლებს, რომ დასავლეთ გერმანიის სეპარატულ სახელმწიფოში ყველაზე მაღალი პოლიტიკური პოსტები მიიღოს.

ამის შესაბამისად დასავლეთ გერმანიის ხელისუფალნი საჭირო ზომებს იღებენ, რათა რაც შეიძლება მალე „გაამართლონ" შახტი და შესაძლებლობა მისცენ მას ახალი პოლიტიკური კარიერა გააკეთოს.

მარკოსის წერილი საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს

ბუქარესტი, 18 ივნისი. (საკდესი). ელას პრესის სააგენტომ გადმოსცა მარკოსის წერილი საბერძნეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი. წერილში ნათქვამია: მიუხედავად ჩემი ავადმყოფობისა, შესაძლებლობის მიხედვით სისტემატურად განვაგრძობ თვალყურის დევნებას საერთაშორისო მოვლენებისადმი და მწვავედ განვიცდი დემოკრატიული არმიის ბრძოლას.

გავიგე, რომ გაზეთ „ბორბაში" ჯილასმა გამოაქვეყნა თავისი სტატია, რომელშიც მე „პატივს" მდებს, მიწოდებს რა „დიდ კომუნისტს" და კოჩი ძოძესა და ზოგიერთ სხვებთან ერთად მპირდება მომათავსოს კომუნიზმის მოღალატეთა პანთეონში.

„ვალდებულად ვრაცხ თავს განვაცხადო,—ნათქვამია შემდეგ წერილში, — რომ „პატივი", რომელსაც მე მდებენ, სრულებითაც არ შემეხება. მინდა ავღნიშნო, რომ მხოლოდ უიმედო მდგომარეობა, რომელშიც ეს ადამიანები იმყოფებიან, აიძულებს მათ მიმართონ მსგავს ცილისმწამებლურ სიყალბეს, რომელსაც, როგორც მე ვფიქრობ, მხოლოდ ერთი მიზანი აქვს—როგორმე შეინარჩუნონ თავიანთი შერყეული მდგომარეობა იმ ხალხში, რომელსაც ისინი ატყუებენ.

სახელდობრ ამ მიზეზით მინდოდა მე, რომ იუგოსლაველმა ხალხმა იცოდეს ჩემი ამ წერილის შინაარსი.

1949 წლის 15 ივნისი. გენერალი მარკოს ვაფიადისი".

ორჯონიკიძის პარკში

კვირას, 19 ივნისს ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში სასწავლო წლის დამთავრებასთან დაკავშირებით მოეწყო თბილისის მოსწავლეთა საზეიმო სეირნობა.

ბაღში დილიდანვე თავი მოიყარეს თბილისის სკოლების მოსწავლეებმა. მათთვის გაიმართა დიდი კონცერტი საქართველოს ფილარმონიისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრების მსახიობთა მონაწილეობით. ბაღის საზაფხულო მოედანზე მოეწყო სკოლებისა და სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეთა თვითშემოქმედებითი კოლექტივის გამოსვლები, აგრეთვე მასობრივი ცეკვები, ატრაქციონები, მხატვრული ფიზკულტურული ვარჯიში. უკრავდა სასულე ორკესტრი და მუშაობდა საბავშვო რკინიგზა.

მოსწავლეთა ერთი ჯგუფი შეხვდა სსრ კავშირის სახალხო არტისტს აკაკი ვასაძეს და რესპუბლიკის სახალხო არტისტს პიერ კობახიძეს. მოეწყო შეხვედრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთან ორდენოსან მასწავლებელ თ. მათიაშვილთან და საქართველოს სსრ დამსახურებულ მასწავლებელთან ჯ. ჯორჯაძესთან. მოსწავლეებს ესაუბრნენ სტახანოველები იდურიძე და კაპანაძე.

მოსწავლეთა საზეიმო სეირნობაში მონაწილეობა მიიღო დედაქალაქის მრავალმა ასეულმა მოსწავლემ.

სურათზე: საბავშვო სეირნობა და გართობა ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში.

ფოტო რ. აკოფოვისა.

ნ. იაშვილი—სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი

1947 წლის 23 სექტემბერს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის განყოფილების გამგემ, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ნიკოლოზ სოლომონის-ძე იაშვილმა დაიცვა დისერტაცია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „საქართველოს სსრ მიწის ფონდები და მათი გამოყენება". ოფიციალურმა ოპონენტებმა მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ პროფესორმა გ. ნ. გეხტმანმა, პროფესორმა ლ. მ. ზალცმანმა, პროფესორმა ი. ლ. ჯაშმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფესორმა ი. ნ. ლომოურმა, აგრეთვე საბჭოს წევრებმა: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა პროფესორმა ტ. ყ. კვარაცხელიამ, დოცენტმა გ. ქ. ჯაფარიძემ და სხვ. მაღალი შეფასება მისცეს წარდგენილ ნაშრომს.

ამას წინათ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექციამ მიიღო ცნობა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ ნ. ს. იაშვილი დაამტკიცა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხში, ხოლო სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებელთა მთავარმა სამმართველომ იგი დაამტკიცა პროფესორის თანამდებობაზე.

„ბაში-აჩუკი" მახარაძის სახელმწიფო თეატრში

მახარაძე. (საკ. კორ.). მახარაძის თეატრის კოლექტივმა ამ დღეებში მაყურებელს პრემიერად უჩვენა აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი", გასცენიურებული ა. კაჭკაჭიშვილის მიერ. პიესა დადგა თეატრის დირექტორმა და მთავარმა რეჟისორმა ს. ახალაძემ, მხატვრულად გააფორმა ლ. მალაზონიამ, მუსიკა დაწერა მ. სებუამ.

სპექტაკლში როლებს ასრულებენ მსახიობები ი. აბაშიძე, ს. ახალაძე, მ. დონაძე, ხ. ლომიძე, უ. თალაკვაძე, რ. ლომინაძე, ქ. ღლონტი, შ. ცქიტიშვილი, შ. არონიშიძე და სხვები.

სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

„ჩაძირული ქვები" მესხეთის თეატრში

ახალციხე. (საკ. კორ.). მესხეთის სახელმწიფო თეატრმა (თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი მ. მეძმარიაშვილი) მოამზადა და მაყურებელს უჩვენა ი. მოსაშვილის პიესა „ჩაძირული ქვები". მთავარი როლები შეასრულეს ახალგაზრდა მსახიობებმა ნ. ზამბახიძემ, ვ. ივანიძემ, ნ. მაჭავარიანმა, ვ. მაზმიშვილმა, ო. მახარაშვილმა და სხვ. თეატრის კოლექტივმა ამ დღეებში ეს პიესა დადგა სოფელ ურავლის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის კლუბში (ახალციხის რაიონი).

სპექტაკლმა დიდი წარმატებით ჩაიარა.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

გუშინ რიგაში თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდმა ჩაატარა მორიგი მატჩი სსრ კავშირის 1949 წლის პირველობაზე. მის წინააღმდეგ თამაშობდა ადგილობრივი „დაუგავას" გუნდი. თბილისელებმა მოიგეს შეხვედრა ანგარიშით 3:1.

ამავე დღეს კუიბიშევის „კრილია სოვეტოვმა" დაამარცხა ბაქოს „ნეფტიანიკი" (3:0), ხარკოვის „ლოკომოტივმა" — ერევნის „დინამო" (3:1), ლენინგრადის „ზენიტმა"—მინსკის „დინამო" (3:0) და მოსკოვის „სპარტაკმა"—მოსკოვის „ლოკომოტივი" (3:0).

ლექცია

23 ივნისს, საღამოს 8 ს. 30 წ., საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის აუდიტორიაში (ფურცელაძის ქ. № 1) აწყობს საზოგადოების ნამდვილი წევრის, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ი. მაისურაძის ლექციას თემაზე: **„მესხური ხალხური სიტყვიერება თურქ-დამპყრობელთა ბარბაროსობის შესახებ".**

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

თეატრებში

რუსთაველის სახელობის თეატრი (ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობაში)	21-VI „ჩაძირული ქვები" 22-VI „უჩა უჩარდია" 23-VI „ოტელო"
მარჯანიშვილის სახელობის	21-VI „ვარდო" 2, 5, 8 აბ. 9 წარმ. 22-VI „ვარდო" 9, 10, 13 აბ. 10 წარმ.
მუსიკალური კომედიის	21-VI „თბილისის ცის ქვეშ" 22-VI „ჩემი გიუზელი" ამ სეზონში უკანასკნელად
მოზარდ მაყურებელთა ქართული (პლეხანოვის სახ. კლუბში)	21-VI „საგანგებო დავალება" 22-VI „ორი კაპიტანი"

ბერიას სახელობის საქართველოს რესპუბლიკური ფიზიკური კულტურის ტექნიკუმი აცხადებს 1949-50 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა მიღებას ქართულ და რუსულ სექტორზე.

ფიზიკური კულტურის ტექნიკუმი ამზადებს საშუალო კვალიფიკაციის ფიზიკური კულტურის მასწავლებლებს.

სწავლის ხანგრძლივობა სამი წელია.

ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 14-დან 30 წლამდე. ტექნიკუმში შემსვლელთ დამთავრებული უნდა ჰქონდეთ არასრული საშუალო სკოლის კურსი და ჩააბარონ მისაღები გამოცდები. ის პირნი, რომელთაც არასრული საშუალო სკოლა ფრიადზე აქვთ დამთავრებული, უგამოცდოდ მიიღებიან.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 20-დან 25 აგვისტომდე შემდეგ საგნებში: 1. ქართული ენა (წერა, ზეპირი) ქართულ სექტორზე შემსვლელთათვის, 2. რუსული ენა (წერა, ზეპირი), 3. მათემატიკა (წერა, ზეპირი), 4. სსრ კავშირის კონსტიტუცია, 5. ფიზიკური მომზადება.

იმ პირთ რომელნიც მისაღებ გამოცდებს ჩააბარებენ „5" ან „4"-ზე, დაენიშნებათ სტიპენდია 185-დან 210 მანეთამდე.

ტექნიკუმში ჩარიცხული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სპორტული ტანსაცმლით, რაიონიდან ჩამოსულნი კი — საერთო საცხოვრებლითაც.

ტექნიკუმთან არსებობს სასადილო ხელმისაწვდომი ფასებით.

განცხადებათა მიღება წარმოებს 20 აგვისტომდე. ტექნიკუმში შემსვლელებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია, 2. არასრული საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (დედანი), 3. დაბადების მოწმობა (დედანი), 4. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, 5. სამი ფოტოსურათი, 6. ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ.

ტექნიკუმში ჩარიცხულ მსმენელებს მიეცემათ ჯავშანი საბჭოთა არმიაში გაწვევისაგან.

განცხადებების მიღება წარმოებს ყოველდღე, გარდა კვირა დღეებისა, შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, კონსტიტუციის ქუჩა № 6 (ლენინის სტადიონი). ტელეფონი 3-39-22.

მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს თბილისის ტექნიკუმში მიღების პირობები

1949-50 სასწავლო წელს ტექნიკუმი აწარმოებს მიღებას სამ სპეციალობაზე: სამკერვალო და ფეხსაცმლის წარმოების ტექნოლოგიურზე და სამკერვალო წარმოების მექანიკურზე. ტექნიკუმში მიიღებიან საბჭოთა კავშირის ორივე სქესის მოქალაქენი 14-დან 30 წლამდე, რომელთაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლა (7-წლიანი ან 8-წლიანი) ან გამოსული არიან უფროსი კლასებიდან.

შემსვლელებმა უნდა ჩააბარონ გამოცდები შემდეგ საგნებში: 1. ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი, წერა), 2. რუსული ენა და ლიტერატურა (ზეპირი, წერა), 3. მათემატიკა (ზეპირი, წერა), 4. სსრ კავშირის კონსტიტუცია.

უგამოცდოდ მიიღებიან: არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ფრიადოსნები, რომელთაც სკოლა დამთავრებული აქვთ 1947, 1948 ან 1949 წელს. განცხადებები მიიღება 15 აგვისტომდე.

გამოცდები 21-დან 28 აგვისტომდე.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

მიღებულნი სწავლის პერიოდში თავისუფლდებიან სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან.

მოსწავლეები მიიღებენ სტიპენდიას 210 მანეთამდე კურსების მიხედვით.

სკოლასთან არსებობს სასადილო და საერთო საცხოვრებელი.

შემსვლელმა უნდა წარმოადგინოს დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთები: 1. განცხადება, 2. განათლების მოწმობა, 3. დაბადების მოწმობა, 4. ჯანმრთელობის მოწმობა, 5. სამი ფოტოსურათი, 6. ავტობიოგრაფია.

ტექნიკუმი ამზადებს სამკერვალო წარმოების ტექნიკოს-ტექნოლოგებს და ტექნიკოს-მექანიკოსებს და ფეხსაცმლის წარმოების ტექნიკოს-ტექნოლოგებს საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემისათვის. სპეციალობასთან ერთად ტექნიკუმი საშუალო განათლებას აძლევს მოსწავლეებს, რომელთაც უმაღლეს სასწავლებელში სწავლის განგრძობის უფლება ენიჭებათ. სწავლის ვადა 4 წელია.

ტექნიკუმის მისამართი: თბილისი, კალინინის ქ. № 60, ტელეფონი № 3-26-66.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სარეწაო კოოპერაციის სამმართველოს კვებქიმმრეწვკავშირის სისტემაში შემავალი არტელი „მესარკე" აცხადებს სახელმწიფო, კოოპერაციული საწარმო-დაწესებულებების და მოსახლეობის საყურადღებოდ, რომ იგი იღებს დაკვეთებს და ასრულებს როგორც საკუთარი, ისე დამკვეთთა მასალით გააკეთოს ქვემოჩამოთვლილი საგნები და შეასრულოს შემდეგი სამუშაო:

1. სარკეები ავეჯის და საგალანტერიო.
2. „პაიკები", ყოველგვარი ტექმინები და ავტომინები.
3. გაფუჭებული სარკეების და „პაიკების" აღდგენა-შეკეთება.
4. მინის ნაპირების გაჩარხვა-გაპრიალება.

დაკვეთა სრულდება დანიშნულ ვადაზე და ხარისხიანად, ანგარიშსწორება ხდება როგორც ბანკის საშუალებით, ისე სალაროში ნაღდი ფულის გადახდით.

შეკვეთების მიღება წარმოებს არტელის კანტორაში, ქ. თბილისი, საბჭოს ქუჩა № 21.

თბილისის სამედიცინო დების მე-8 სკოლაში მიღების პირობები 1949-50 სასწავლო წლისათვის

სკოლა ჯანმრთელობის სამინისტროს სისტემაშია, ითვლება საშუალო სპეციალურ სასწავლებლად და ამზადებს ექიმის თანაშემწეებს სამედიცინო დის წოდების მიკუთვნებით. მეცადინეობა საღამოს საათებშია ქართულ ენაზე. სკოლა ორწლიანია. მიიღებიან 15-35 წლის ასაკის მოქალაქენი, რომელთაც დამთავრებული აქვთ 8 კლასი, არასრული საშუალო სკოლის კურსი. უგამოცდოდ ჩაირიცხებიან არასრული საშუალო სკოლის ფრიადოსნები და საშუალო სკოლის დამთავრებულნი საერთო წესით. მიღებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესით. მისაღები გამოცდები — 25-დან 30 აგვისტომდე. გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებში: ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში, არითმეტიკაში და სსრ კავშირის კონსტიტუციაში. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: ავტობიოგრაფია, განათლების მოწმობა (დედანი), მეტრიკული მოწმობა, ჯანმრთელობის ცნობა, ორი ფოტოსურათი. განცხადება მიიღება დირექტორის სახელზე საღამოს 6-დან 9½ საათამდე სკოლაში, დიდუბე, გახუშტის ქ. № 46 (შესავალი სოხუმის ქუჩიდან).

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული საქართველოს საშუამავლო კანტორა

სამეურნეო ორგანიზაციებისა და საწარმოებისაგან იღებს დავალებებს მიწოდებისა და მოთხოვნილებათა გამოსარკვევად. აფორმებს საქონლის ყიდვა-გაყიდვის გარიგებებს.

წინადადებით მიმართეთ: ქალაქი თბილისი, ჯაფარიძის ქუჩა, № 4.

მოქალაქე ლუბა მიხეილის ასულმა პაპიაშვილმა, მცხოვრებმა კლარა ცეტკინის ქ. № 35, აღძრა საქმე ვახუშტის ქ. № 15 მცხოვრებ მოქალაქე დანიელ იოსების-ძე ხუნდიაშვილთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-4 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე თამარ ივანეს ასულმა ქუბაბრიამ, მცხოვრებმა კონდუქტორის ქ. № 4, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე სიმონ ვასილის-ძე ქუბაბრიასთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

დები მაშო და მარო, ძმა გიორგი, რძლები ქეთო და ლიდა შვილებით იუწყებიან ტარასი მეთოდეს-ძე გვარჯალაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-VI ლანჩხუთში.

ნინო ქარცივაძე შვილებით იუწყება შალვა სერგის-ძე ქარცივაძის გარდაცვალებას. გამოსვენება 21-VI, 4½ ს. ტუბდისპანსერიდან (საბურთალო).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის დირექცია, პარტორგანიზაცია და ადგილკომი იუწყებიან ამავე ინსტიტუტის ფიტოტოქსიკოლოგიური განყოფილების გამგის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ლიუდმილა წერეთლის გარდაცვალებას.

მეუღლე ნინო, შვილები ელენე, ლევან, ნინო, ქეთევან, სიძე გ. ძიძიგური, შვილიშვილები ელგუჯა, ლუკა, თამაზ იუწყებიან თომა ნიკოლოზის-ძე ანანიაშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 21, 22-VI, 8 ს. გამოსვენება 23-VI, 6 ს. კოტე მესხის ქ. 5.

მარო, ლენა, ბესარიონ, ანტონ და ბადრი კოზირიები იუწყებიან იასონ სოლომონის-ძე ცომაიას გარდაცვალებას.

ირაკლი ბილანიშვილი ოჯახით იუწყება სიძის მათე არონის-ძე იანქოშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება 21-VI, 6 ს. პლეხანოვს, 44.

და ლილი, სიძე ბიძინა ცომაიები შვილებით იუწყებიან გიორგი ნიკოლოზის-ძე დექტიაროვის გარდაცვალებას. გამოსვენება 22-VI, 6 ს. პირველი მაისის, 10.

ფაცია, პეტრე, კლარა ნადარეიშვილები, ლიდა, ტოგო ცომაიები, შურა, გულე, ირაკლი ყურაშვილები, დავარი გუგუშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ლ. ცომაიას მისი ძმის გიორგი დექტიაროვის გარდაცვალების გამო.

თბილისის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკუმის კოლექტივი იუწყება ლ. გვარჯალაძის მამის ტარასი მეთოდეს-ძე გვარჯალაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-VI ლანჩხუთში.

დედა ქსენია, მეუღლე ანასტასია, შვილები ოინა და კოლია, რძალი ტატიანა იუწყებიან იასონ სოლომონის-ძე ცომაიას გარდაცვალებას. პანაშვიდი 21, 22-VI 8 ს. გამოსვენება 23-VI, 6 ს. ბათუმის, 42.

შვილები ბიჭიკო და რუსიკო იუწყებიან ლიუდმილა (დუდა) იასონის ასულ წერეთელი-ხუბუტიას გარდაცვალებას. პანაშვიდი 21, 22-VI, 8 ს. გამოსვენება 23-VI, 6 ს. მელიქიშვილის, 39.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი—3-57-61, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და საბჭოთა მშენებლობისა — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-78-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ტირაჟი 150.000

უე 03614